პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—56

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის: [illegible] 1 მ. [illegible] 75 კ. დანარჩენებისათვის: [illegible] 1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „[illegible]" და „მეცნიერება და ტექნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—20 კ. [illegible]—25 კ. სამგლოვიარო—[illegible] დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელეფონი 13—30.

ოთხშაბათი, 14 ოქტომბერი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 236 (1391)

დღიური

— ახლო ხანში დაარსდება პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატა.

— საბჭოთა წარმომადგენელი ვარშავაში ამხ. ვოიკოვი ჩავიდა მოსკოვში.

— პეკინში შესდგა ჩინეთის კომპარტიის და კომკავშირის არალეგალური კონფერენცია.

— სილეზიაში მაღაროებში [illegible] ქრებიან.

სავაჭრო ხელშეკრულება გერმანიასთან ხელმოწერილია

რაპალოს ხელშეკრულება ხელუხლებელი რჩება

გერმანია-საბჭოთა კავშირის დელეგაციების მიერ ხელმოწერილია 10 შეთანხმება

გერმანია სცნობს საბჭოთა კავშირში არსებულ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას

საბაჟო ხელშეკრულების დადების დროს საბჭოთა კავშირს მიენიჭება განსაკუთრებული შეღავათები

საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობის უმაღლესი თანამდებობის პირნი გერმანიაში სარგებლობენ დიპლომატების უფლებებით

ბანკეტი საგარეო საქმეთა კომისარიატში ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის გამო

შეთანხმება გერმანიასთან

ორი წლის მუშაობის შემდეგ, დაბოლოს, მიღწეულ იქნა შეთანხმება საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის, და დღეს ჩვენ უკვე გვაქვს სათანადო ხელშეკრულება, ხელმოწერილი 12 ოქტომბერს მოსკოვში ორივე მხარეს წარმომადგენელთა მიერ.

მკითხველი ჩვენს გაზეთში გაეცნობა საკმაოთ ვრცელ მასალას ამ შეთანხმების შინაარსის და მნიშვნელობის შესახებ. სხვათა შორის, ამ მასალიდანაც ცხადი გახდება მისთვის, თუ რატომ დასჭირდა ამოდენა დრო ხელშეკრულების დადებას.

სულ დადებულია ათი შეთანხმება, რომლებიც ეხებიან ორივე სახელმწიფოს შორის ეკონომიურ და უფლებრივ დამოკიდებულების ყველა უმთავრეს საკითხებს. შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოთა ურთიერთობის პრაქტიკაში ჩვენ ვერ ვხედებით ასე დაწვრილებით ჩამოყალიბებულ, ასე მრავალ მომენტების შემცველ შეთანხმებას. ამ მრავალრიცხოვან და რთულ საკითხებს ესაჭიროებოდა საფუძვლიანი დამუშავება, მათ გარეშე ორივე ქვეყნის ინტერესთა შეთანხმება, რაც, რა თქმა უნდა, ადვილი საქმე არ იყო.

მით უფრო ძნელი იყო ეს, რომ მოლაპარაკებას აწარმოებდა ორი ისეთი სახელმწიფო, რომელნიც ძირეულათ განირჩევიან ერთმანეთისაგან სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური სისტემით. ეს განსხვავება ართულებდა ორივე მხარესათვის ერთნაირად მისაღებ შეთანხმების ფორმულათა გამომუშავებას, ამასთან ქმნიდა საჭიროებას ურთიერთი დამოკიდებულების დაწვრილებითი ჩამოყალიბებისათვის, რათა რაიმე გაუგებრობას ადგილი არ დარჩენოდა.

მხედველობაშია მისაღები გერმანიის საერთაშორისო მდგომარეობაც: თავის არა მარტო საგარეო, არამედ საშინაო პოლიტიკაშიც იგი დიდათაა დამოკიდებული ანტანტაზე, რომელიც, რა თქმა უნდა, ხელს უშლიდა მას საბჭოთა კავშირთან ნორმალურ ურთიერთობის აღდგენაში.

ყველა ეს დაბრკოლებები გადალახულ იქნა და ხელმოწერილია ისეთი ხელშეკრულება, რომელიც, ორივე სახელმწიფოს პრინციპების და ინტერესების სრული დაცვის ნიადაგზე, აწესრიგებს მათი ეკონომიური თანამშრომლობის და უფლებრივი დამოკიდებულების საკითხებს. კერძოთ აღსანიშნავია, რომ გერმანია აღიარებს საბჭოთა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას და ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობას სცნობს, როგორც დიპლომატიურ წარმომადგენლობის შემადგენელ ნაწილს. უცხოეთის კაპიტალისტები ვერ ინელებენ ჩვენი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას და ყოველნაირად სცდილობენ მის გაუქმებას. მკითხველს, ალბად ახსოვს, რომ ამ ნიადაგზე ერთ დროს დიდ ინციდენტს ჰქონდა ადგილი გერმანიასა და საბჭოთა კავშირ შორის (თავდასხმა ბერლინის საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაზე). დღეს ეს საკითხი საბოლოოთ ამოწურულათ უნდა ჩაითვალოს ჩვენს სასარგებლოთ, რამდენადაც საქმე გერმანიასთან დამოკიდებულებას ეხება.

ჩვენ სიტყვას არ გავაგრძელებთ ხსენებულ ხელშეკრულების უდიდეს ეკონომიურ მნიშვნელობაზე, როგორც გერმანიისა, ისე საბჭოთა კავშირისათვის. მათ სამეურნეო თანამშრომლობას უდიდესი სარგებლობის მოტანა შეუძლია ორივე ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებისათვის.

ჩვენ რამოდენიმეთ გვინდა შევჩერდეთ მიღწეულ შეთანხმების პოლიტიკურ მომენტზე. მისი წარმატებით განხორციელება და განვითარება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გერმანია საბჭოთა კავშირ შორის ნამდვილი მეზობლური პოლიტიკური ურთიერთობა განმტკიცდება. საფუძველს ამისათვის ფორმალურათ უკვე რაპალოს ხელშეკრულება წარმოადგენს. არა მარტო საბჭოთა კავშირს, არამედ გერმანიასაც კარგათ ესმის საკითხის ამ მხარის მნიშვნელობა. ამიტომაც ეხლანდელ სავაჭრო ხელშეკრულების საერთო ნაწილში დადასტურებულია, რომ „რაპალოს ხელშეკრულება რჩება ხელშეუხებელი".

ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ დღეს ლოკარნოს კონფერენციაზე სწარმოებს ცდა გერმანიის ჩასაბმელათ ანტისაბჭოთა კოალიციაში და არსებითად რაპალოს ხელშეკრულების გასაუქმებლად. გერმანიის ეკონომიური აუცილებლობა მიაქანებს საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობისაკენ, რამაც ეხლა მიღწეულ შეთანხმებაში ჰპოვა გამოხატულება. ჩვენთან დაახლოვება აგრეთვე ამაგრებს მის საერთაშორისო მდგომარეობას. გერმანია მოსკოვის ხელშეკრულებას, ალბათ, გამოიყენებს ანტისაბჭოთა ბლოკის მოთხოვნათა შესამსუბუქებლათ და სათანადო დათმობათა მისაღებათ.

1922 წ. გენუის კონფერენციის დროს, რაპალოს ხელშეკრულების დადება ყუმბარასავით გავარდა „მოკავშირეთა" შორის და დავთარი აურია მათ. დღეს, ლოკარნოს კონფერენციის დროს, მოსკოვის ხელშეკრულებამ, თუმცა უკანასკნელი დადება მოულოდნელი არ იყო, მაინც უნდა ხელი შეუწყოს გერმანიის პოზიციის განმტკიცებას, თუ იგი, თავისთავად ცხადია, გამოიჩენს საჭირო ნებისყოფას და პოლიტიკურ გამჭრიახობას.

ჯერ-ჯერობით კი ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, ხსენებული შეთანხმების მიღწევა ჩვენი მნიშვნელოვანი გამარჯვებაა, როგორც ჩვენი სამეურნეო, ისე საერთაშორისო ინტერესების თვალსაზრისით. ამასთან, ეს ხელშეკრულება ნიმუშია იმათთვის, ვისაც მართლა სურს ჩვენთან ნორმალურ ურთიერთობის აღდგენა.

ათი შეთანხმება

12 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის და გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს 10 შეთანხმებას. ეს შეთანხმებები აწესრიგებენ ორთავე სახელმწიფოს ეკონომიურ ურთიერთობას, აგრეთვე უფლებას თვითეული ქვეყნის მოქალაქისას, რომელიც იმყოფება მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ეს ფაქტიურად პირველი ხელშეკრულებაა საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოს შორის, რომელიც სწყვეტს სამეურნეო ურთიერთობის ყველა პრობლემებს ორივე სახელმწიფოს შორის.

ყველაზე უმნიშვნელოვანესია სამეურნეო შეთანხმება (სავაჭრო ხელშეკრულება). მასთან არის დაკავშირებული მთელი რიგი სხვა შეთანხმებებისა, მაგალითად: დასახლების (ერთი ქვეყნის მოქალაქის ყოფნა მეორეს ტერიტორიაზე), უფლებრივი დაცვის, ნაოსნობის, რკინისგზის, სავაჭრო სამედიატორო სასამართლოების შესახებ. შემდეგ არის შეთანხმება პატენტების და გადასახადების შესახებ. გარდა ამისა, დადებულია საკონსულო კონვენცია და მასთან დაკავშირებული შეთანხმება მემკვიდრეობის შესახებ, აგრეთვე შეთანხმება სასამართლო დახმარების შესახებ.

წინასწარი მოლაპარაკება სწარმოებდა ერთი წლის განმავლობაში ბერლინში. ხოლო გასული წლის ნოემბრიდან მოლაპარაკება გადატანილ იქნა მოსკოვში. მოლაპარაკების ასე დიდხნით გაგრძელება აიხსნება შეთანხმებათა სიმრავლით, და რაც მთავარია, მათი თვისებით. ძალიან ძნელია ეკონომიური შეთანხმების მიღწევა ორ სახელმწიფოს შორის, განსაკუთრებით ომის შემდეგ. მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირსა და სხვა სახელმწიფოს შორის ართულებს კიდევ ის გარემოება, რომ მოლაპარაკება სწარმოებს ისეთ ორ სახელმწიფოებს შორის, რომელთა ეკონომიური სტრუქტურები სასტიკად განსხვავდებიან ერთი მეორისაგან. ეკონომიურ სისტემათა წინააღმდეგობა აუცილებლად უნდა გაგვეთვალისწინებია ჩვენს მოლაპარაკებაში. საბჭოთა დელეგაცია იდგა ასეთ პოზიციაზე: გაგვეთვალისწინებია გერმანიის საერთო მდგომარეობა და არ წარედგინა ზედმეტი მოთხოვნილებები, ამავე დროს თვითონაც არ გადაეხვია საგარეო ვაჭრობის მონოპოლიისაგან და არ წასულიყო არავითარ ისეთ დათმობაზე, რომელიც მძიმე იქნებოდა ჩვენი მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობისათვის. მხოლოდ ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ დადებული ხელშეკრულება და ამ მხრივ ის შეეფერება დასახულ ამოცანებს.

რას მოგვცემს ჩვენ დადებული ხელშეკრულება? პირველ ყოვლისა, ის სცნობს ჩვენში არსებულ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას და ბერლინის სავაჭრო წარმომადგენლობას, რომელიც ახორციელებს ამ მონოპოლიას. სავაჭრო წარმომადგენლობა ცნობილია როგორც სრულუფლებიან წარმომადგენლობის შემადგენელი ნაწილი. სავაჭრო წარმომადგენლობის ხელმძღვანელები სარგებლობენ დიპლომატიური უფლებებით, სავაჭრო წარმომადგენლობის შენობა ექსტერიტორიალურია. ჩვენს სამეურნეო ორგანოებს გერმანიაში ეძლევათ ისეთივე უფლებები, რომლებითაც სარგებლობენ გერმანიაში ყველა სხვა სავაჭრო-სამრეწველო ორგანოები.

გერმანელი მოქალაქეები მათ მუშაობაში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ემორჩილებიან ჩვენში არსებულ კანონებს.

ცოცხალი მსხვილფეხა საქონლის გაყვანას გერმანიაში დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი გლეხობისათვის და ამიტომ ჩვენ მომავალში უნდა ვეცადოთ, რომ გერმანიის მთავრობა დავითანხმოთ დიდ დათმობებზე ამ მხრივ. იმის გამო, რომ ახალი საბაჟო ტარიფი შემოღებულ იქნა გერმანიაში მხოლოდ ჩვენი მოლაპარაკების დასასრულს, შეუძლებელი იყო ეხლავე, რომ ძალიან არ გაგვეჭიანურებია ხელშეკრულების დადება, დაგვედო ამავე დროს საბაჟო კონვენციაც. ამიტომ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია, რომ მოლაპარაკებას საბაჟო კონვენციის შესახებ ორივე მხარე შეუდგება დაუყოვნებლივ ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის შემდეგ. ამასთან ერთად ხელშეკრულებით ნებადართულია უპირატესობის პრინციპის გამოყენება საბაჟო ტარიფებში.

დანარჩენი შეთანხმებები საერთოდ ავსებენ მთავარ სამეურნეო შეთანხმებას. შეთანხმებაში მოქალაქის უფლების შესახებ მოწესრიგებულია უფლებები თვითეულ სახელმწიფოს მოქალაქეებისა, რომლებიც იმყოფებიან მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ამასთან ერთად საგრძნობლად გაუმჯობესებული იქნება ვიზების გაცემა ერთი სახელმწიფოდან მეორეში წასასვლელად.

სავაჭრო ხელშეკრულება და ყველა მასთან დაკავშირებული შეთანხმებები დადებულია ორი წლით. საპატენტო შეთანხმება და შეთანხმება გადასახადების შესახებ—4 წლით. საკონსულო კონვენცია, შეთანხმება მემკვიდრეობის შესახებ და შეთანხმება სასამართლო დაცვის შესახებ—5 წლით.

დადებული ხელშეკრულებები უსათუოდ დიდ როლს ითამაშებენ საბჭოთა კავშირის და გერმანიის უფრო მჭიდრო ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის საქმეში. ორივე ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა დაბეჯითებით მოითხოვს ამ თანამშრომლობას. იმპერიალისტური ომის შემდეგ დასუსტებული გერმანია და ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ სწრაფი აღორძინების გზაზე მდგარი საბჭოთა კავშირი შეუძლიათ ხელი შეუწყონ ერთი-მეორის სამეურნეო ცხოვრების განვითარებას.

ამ ხელშეკრულებებს არა ნაკლები მნიშვნელობა აქვთ პოლიტიკურადაც. მჭიდრო ეკონომიური თანამშრომლობა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სტიმულს მეგობრულ პოლიტიკურ ურთიერთობისათვის, როგორადაც არ უნდა ეცადონ ზოგიერთი დიპლომატები პოლიტიკურ დამოკიდებულების სხვანაირად მოტრიალებას.

ი. განეცკი.[*]

მოსკოვი 13 ოქტ.

---

*) თავმჯდომარე საბჭოთა დელეგაციის, რომელიც აწარმოებდა მოლაპარაკებას გერმანიის დელეგაციასთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ.

ხელისმოწერა ხელშეკრულებაზე

მოსკოვი, 13 ოქტ. 12 ოქტომბერს შესდგა საბჭოთა კავშირის და გერმანიის დელეგაციების საბოლოო სხდომა, რომელზედაც ხელი მოაწერეს გერმანია—საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას.

სხდომას დაესწრენ: გარეშე საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე **ლიტვინოვი**, გერმანიის სრულუფლებიანი საგანგებო ელჩი საბჭოთა კავშირში გრაფი **ბროკდორფ-რანცაუ**, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი **როტშტეინი**, გერმანიის დელეგაცია და საბჭოთა დელეგაცია.

სხდომა გახსნა საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარემ **განეცკიმ**, რომელმაც წაიკითხა ოქმი, შემდგარი ორი ცალკე ოქმისაგან: 1) მთელი ხელშეკრულების შესახებ და 2) საკონსულო და იურიდიული დახმარების კონვენციების შესახებ.

ოქმის წაკითხვის შემდეგ დაიწყო ხელისმოწერა ხელშეკრულებაზე. ხელშეკრულების თვითეულ ტექსტზე არის ორი ხელისმოწერა: ერთ შემთხვევაში პირველათ ხელსაწერენ გრაფი ბროკდორფ-რანცაუ და ფონ-კერნერი, მეორეთ—საბჭოთა კავშირის მხრივ—ლიტვინოვი და განეცკი; მეორე შემთხვევაში პირველად ხელს აწერენ ლიტვინოვი და განეცკი, მეორეთ—გრაფი ბროკდორფ-რანცაუ და ფონ-კერნერი.

ხელისმოწერა ხელშეკრულებაზე, რომელიც შეიცავს 8 კონვენციას, და აგრეთვე ხელისმოწერა ცალკე საკონსულო კონვენციაზე და კონვენციაზე იურიდიული დახმარების შესახებ გაგრძელდა ნახევარი საათი.

ხელისმოწერის შემდეგ მხარეებს შორის მოხდა ხელმოწერილ დედნების გაცვლა-გამოცვლა.

ამხ. განეცკის სიტყვა

შემდეგ განეცკიმ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

„მოწყალეო ხელმწიფენო! დღეს ჩვენ დავამთავრეთ ის საქმე, რომლის მოსამზადებლად ორივე დელეგაცია ასე გულმოდგინეთ მუშაობდა მოსკოვში თითქმის ერთი წლის განმავლობაში, თუ არ ვიანგარიშებთ მოლაპარაკების პირველ სტადიას ბერლინში.

საბჭოთა დელეგაცია, რომელიც ხედავს, რომ ყველა საკითხები, რომლებიც ჩვენ გვაინტერესებს ჩვენს ურთიერთობაში გერმანიასთან, სავსებით გადაჭრილია ამ შეთანხმებებით, ამასთან ერთად ღრმად დარწმუნებულია, რომ დღევანდელი აქტი—ამ შეთანხმებაზე ხელის მოწერა დიდ როლს ითამაშებს ორივე სახელმწიფოს ხალხებს შორის კიდევ უფრო მეტი ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის საქმეში.

ჯერ კიდევ ომამდე სავაჭრო ურთიერთობა ორივე სახელმწიფოს შორის მეტად გამოცოცხლებული იყო. ჯერ კიდევ მაშინ იმპორტი გერმანიიდან შეადგენდა მთელი ჩვენი იმპორტის 47 პროცენტზე მეტს, ხოლო ჩვენი ექსპორტი გერმანიაში უდრიდა მთელი ექსპორტის 30 პროცენტს და იყო მეტი, ვინემ რომელიმე სხვა სახელმწიფოში. ჩვენ ეჭვი არ შეგვდის, რომ დღევანდელი აქტი საშუალებას მოგვცემს ახლო მომავალში მივაღწიოთ ამ ციფრებს და მალე გაუსწროთ მათ.

ჩვენ დღეს ხელი მოვაწერეთ მთელ რიგ ეკონომიური ხასიათის შეთანხმებებს. ამ შეთანხმებებს ამავე დროს აქვთ პოლიტიკური მნიშვნელობაც. ისინი წარმოადგენენ თავდებს იმისას, რომ მეგობრული პოლიტიკური ურთიერთობა ორივე ხალხებს შორის გაღრმავდება და განმტკიცდება. ვერაფერმა და ვერავინ ამას ხელი ვერ უნდა შეუშალოს.

მოლაპარაკების დროს ჩვენ არაერთხელ წავაწყდით დიდ დაბრკოლებებს, რომელთაც ჩვენ ვერ გადავლახავდით, რომ გერმანიის პატივცემულ დელეგაციის პატივცემულ თავმჯდომარე ფონ-კერნერის მეთაურობით არ გაეწია ჩვენთვის ყოველმხრივი დახმარება.

ნება მომეცით ასე დავამთავრო ჩემი მოკლე სიტყვა: „დეე განმტკიცდეს მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირის და გერმანიის ხალხებს შორის".

ფონ-კერნერის სიტყვა

განეცკის საპასუხოდ გამოვიდა გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარე ფონ-კერნერი, რომელმაც განაცხადა:

„პატივცემულო ბატონებო! მოლაპარაკება, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებდით 1923 წლის ივნისიდან, იყო მეტად ხანგრძლივი და ძნელი, და იყო ისეთი მომენტები, როცა გვეგონა, რომ ჩვენი მუშაობა უნაყოფოდ ჩაივლიდა.

მე არასოდეს არ ვიზიარებდი ამ შიშს და ყოველთვის იმ აზრის ვიყავი, რომ ჩვენ მივაღწევდით დადებით შედეგებს. რომ ჩვენ მივაღწიეთ შეთანხმებას, ჩვენ უნდა უმადლოდეთ ორივე მთავრობის შეგნებას, რომ ეს ხელშეკრულებები აუცილებელია ორივე სახელმწიფოსათვის, და აგრეთვე დელეგაციების სწორ და გულმოდგინე მუშაობას.

ამიტომ მე მინდა მადლობა გადაუხადო ჩვენთან თავგამოდებული და დაუღალავი თანამშრომლობისათვის საბჭოთა დელეგაციის ბატონ წევრებს, და პირველ ყოვლისა ბატონ თავმჯდომარეს და აგრეთვე დელეგაციის გენერალურ მდივანს, რომელმაც ჩვენს დოქტორ რენშელთან ერთად დიდათ შეუწყო ხელი იმას, რომ ჩვენ დღეს მივაღწიეთ მიზანს.

სავსებით ვეთანხმები საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარის განცხადებას, რომ ჩვენი შეთანხმება ძლიერ ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობის განმტკიცებას. დეე ასრულდეს ეს იმედი როგორც გერმანიის ხალხის, ისე საბჭოთა კავშირის საკეთილდღეოდ".

ხელშეკრულებაზე ხელისმოწერა და სხდომის ცალკე მომენტები გადაიღეს კინო-ოპერატორებმა და ფოტოგრაფებმა.

საბჭოთა და გერმანიის დელეგაციების ოფიციალური ცნობა

მოსკოვი, 13 ოქტ. გამოქვეყნდა საბჭოთა და გერმანიის დელეგაციების ოფიციალური ცნობა გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადების შესახებ. ამ ცნობაში ნათქვამია, რომ ორივე სახელმწიფოს მთავრობებს განზრახული აქვთ გამოაქვეყნონ დადებულ შეთანხმებათა ტექსტი.

ყველა შეთანხმებები დამტკიცებული უნდა იქნენ ორივე სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოების მიერ. დამტკიცება უნდა მოხდეს რაც შეიძლება მოკლე ხნის განმავლობაში.

„იზვესტია" შეთანხმების შესახებ

მოსკოვი, 13 ოქტ. „იზვესტია" მოწინავე წერილში სათაურით „ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის", სწერს:

„გუშინ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის.

ეხლახან ხელმოწერილ აქტის სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა გამომდინარეობს იქედან, რომ ხელშეკრულება აწესრიგებს ორივე ქვეყნის ეკონომიურ და უფლებრივ ურთიერთობის თითქმის სულ ყველა მხარეებს.

საკმაოა ჩამოთვლა იმ ცალკე შეთანხმებისა, რომელთაც შეიცავს ხელშეკრულება, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ მისი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა.

ორივე სახელმწიფოს პრაქტიკაში, არც ურთიერთობაში ერთმანეთს შორის, არც ურთიერთობაში სხვა სახელმწიფოებთან, არ მოიპოება დოკუმენტი, რომელიც ასე სავსებით აწესრიგებდეს სამეურნეო და უფლებრივი ცხოვრების ყველა მხარეებს.

ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან წარმოადგენს გერმანიის სახალხო მეურნეობის აშკარად გამოხატულ ტენდენციის იურიდიულ ჩამოყალიბებას. ეს ტენდენცია უნდა ვითარდებოდეს და მის საფუძვლად უნდა ედოს ორივე სახელმწიფოს პოლიტიკურ ურთიერთობათა გარკვეული კომპლექსი. რაპალოს ხელშეკრულება იძლევა ასეთ კომპლექსს. ეს იციან ამ ხელშეკრულების შემადგენლებმაც, რომლებიც საერთო დებულებათა მე-3-ე მუხლში აცხადებენ, რომ „**რაპალოს ხელშეკრულება ხელუხლებელი რჩება**".

მაგრამ საგარანტიო ხელშეკრულებას და გერმანიის შესვლას ერთა ლიგაში, ცხადია, ახლავს სხვაგვარი ტენდენციებიც პოლიტიკურ ურთიერთობათა სფეროში. ინგლისის პოლიტიკა, რომელიც ცდილობს გერმანია დაუმორჩილოს თავის მიზნებს, ვერ შეუწყობს ხელს იმ პოლიტიკური ბაზის განმტკიცებას, ურომლისოდაც გუშინ დადებული ხელშეკრულება ვერ შესძლებს განავითაროს მასში გათვალისწინებული ყველა სახალხო-სამეურნეო შესაძლებლობანი.

გაიგებენ თუ არა ამ გარემოებას გერმანიის პოლიტიკის ხელმძღვანელები და რა დასკვნებს გამოიტანენ ისინი აქედან, ამას მომავალი დაგვანახვებს.

საბჭოთა კავშირმა ამ ხელშეკრულების დადებით ცხადჰყო, რომ მას სურს განავითაროს სახალხო-სამეურნეო კავშირი გერმანიასთან. ჩვენი [illegible] აქეთკენ მიმართულს".

გრაფი ბროკდორფ-რანცაუ ხელშეკრულების შესახებ

მოსკოვი. 13 ოქტ. 12 ოქტომბერს გერმანიის სრულუფლებიანმა საგანგებო ელჩმა საბჭოთა კავშირში გრაფ ბროკდორფ-რანცაუმ მიიღო საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელი, რომელთან საუბრის დროს გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადების შესახებ განაცხადა შემდეგი:

„ორი წლის მოლაპარაკების შემდეგ დადებული ხელშეკრულება გამოხატავს ორივე მხარის სერიოზულ სურვილს გამოეძებნათ სალი კომპრომისი გერმანიის ეკონომიურ და უფლებრივ სტრუქტურისა და მისგან დიდათ განსხვავებულ საბჭოთა კავშირის სტრუქტურას შორის.

ხელშეკრულება უფლებრივ საფუძველს აძლევს უკვე არსებულ ეკონომიურ ურთიერთობას ორივე სახელმწიფოს შორის და შლის მისი მომავალი გაფართოების პერსპექტივებს.

მაგრამ მარტო ურთიერთ სავაჭრო ბრუნვის გადიდება კიდევ ვერ გაამართლებდა ხელშეკრულების დადებას.

მე პირიქით, დაბეჯითებით მჯერა, რომ ეს ხელშეკრულება გამოიწვევს ეკონომიურ ურთიერთობათა ენერგიულ განვითარებას ყველა დარგებში და ხელს შეუწყობს მჭიდრო ეკონომიურ თანამშრომლობას გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის. ამასთან ერთად მას მოჰყვება აგრეთვე კულტურულ ურთიერთობათა წარმატებით განვითარება, რაზედაც დიდი გავლენა იქონია ამას წინად ლენინგრადში გამართულმა საკავშირო აკადემიის ზეიმმა.

ამჟამად ხელმოწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს ეკონომიურ განვითარებას რაპალოს ხელშეკრულებისას, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა ორივე ქვეყნის თანამშრომლობას. ის ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ ორივე ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მომავალშიაც იარონ ამ გზით.

ურთიერთობათა ასეთი ჩამოყალიბება ასეთ ერთი-მეორესაგან დამოკიდებულ ქვეყნებს შორის, როგორიც არიან გერმანია და საბჭოთა კავშირი, უსათუოდ, ხელს შეუწყობს თითქმის 200 მილიონი მცხოვრებით დასახლებულ ტერიტორიის ეკონომიურ გაჯანსაღებას. ამის გამო, ეს ხელშეკრულება გავლენას იქონიებს აგრეთვე ორივე სახელმწიფოს საერთო საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარებაზე".

საუბარი გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარესთან

მოსკოვი. 13 ოქტ. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარემ ფონ კერნერმა გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადების შესახებ განაცხადა შემდეგი:

„1922 წელს დადებული რაპალოს ხელშეკრულება წარმოადგენდა მხოლოდ საფუძველს" სამეურნეო და უფლებრივ ურთიერთობათა განვითარებისათვის გერმანიისა და საბჭოთა კავშირს შორის. მოლაპარაკებამ, რომელმაც მიგვიყვანა ამ ხელშეკრულების დადებამდე, რეალურად ჩამოაყალიბა ორივე ქვეყნის უფლებრივი, იურიდიული და ეკონომიური ურთიერთობანი. ამ მხრივ „მოსკოვის ხელშეკრულება" რომელსაც ხელი მოვაწერეთ დღეს, უსათუოდ წარმოადგენს იმ კავშირის განმტკიცებას, რომელიც გათვალისწინებული იყო საერთო ფორმებში რაპალოს ხელშეკრულებით.

შეკითხვაზე, როგორია ხელშეკრულების პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა, ფონ-კერნერმა უპასუხა:

„ხელშეკრულება, უსათუოდ, განამტკიცებს დღემდე არსებულ ეკონომიურ ურთიერთობას ორივე სახელმწიფოს შორის. ეს ურთიერთობა ამჟამად განვითარდება უფრო მეტად, ვინემ წინად, და მიიღებს მტკიცე, მეგობრულ ხასიათს.

ეკონომიური ურთიერთობის განვითარება კი თავის მხრივ გამოიწვევს ორივე სახელმწიფოს იურიდიულ უფლებრივ კავშირის განმტკიცებას.

რასაკვირველია,—დასძინა ფონ-კერნერი,—ჩვენი სახელმწიფოების ეკონომიური და აგრეთვე პოლიტიკური სისტემის სხვადასხვაობა დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერებისა და განვითარებისათვის. მაგრამ განვლილი წლების გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ეს ურთიერთობა შესაძლებელი იყო და რომ ის თანდათან მტკიცდება. იმედი მაქვს, რომ ორივე ხალხის სასიცოცხლო ინტერესები აღმოჩნდებიან ეკონომიურ სხვადასხვაობაზე და წინააღმდეგობებზე უფრო ძლიერი და ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად დაედება ეს ხელშეკრულება, ნორმალურად განვითარდება და განმტკიცდება.

დასასრულ ფონ-კერნერმა განაცხადა, რომ ეხლანდელი ხელშეკრულება, უსათუოდ, ერთგვარ გავლენას იქონიებს ახალ ეკონომიურ კომბინაციებზე ევროპაში. მაგრამ როგორი იქნება ეს გავლენა ჯერ-ჯერობით, ლოკარნოს კონფერენციასთან დაკავშირებით, არ შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ. არც იმის თქმა შეიძლება, თუ როგორი იქნება ეს კომბინაციები და როგორ ჩამოყალიბდება ევროპის ეკონომიური ცხოვრება".

ბანკეტი

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის შენობაში საბჭოთა კავშირის დელეგაციამ გამართა ბანკეტი გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადების გამო.

ბანკეტს დაესწრენ **კრასინი, სოკოლნიკოვი,** მიწათმოქმედების სახ. კომისარი **სმირნოვი, ლიტვინოვი, იოფფე, სვიდერსკი, რაკოვსკი, კარახანი, არალოვი, როტშტეინი,** შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრი და საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი იაპონიაში იანსონი, გერმანიის საელჩოს წარმომადგენლები,—ელჩი ბროკდორფ-რანცაუ, საელჩოს მრჩევლები, გერმანიის დელეგაცია, საბჭოთა კავშირის დელეგაცია, საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის წევრი ტერ-გაბრიელიანი, საბჭ. კავშ. სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პიატაკოვი და სხვები.

ამხ. ლიტვინოვის სიტყვა

ლიტვინოვმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

„ღრმესი კმაყოფილებით ვდღესასწაულობთ დღეს ჩვენ საბჭოთა კავშირის და გერმანიის დელეგაციის ხანგრძლივ მუშაობის წარმატებით დასრულებას და მთელ რიგ ხელშეკრულებებზე ხელის მოწერას. **ამ ხელშეკრულებებმა ამიერიდან უნდა მოაწესრიგონ ორივე ქვეყნის ეკონომიური ურთიერთობა.** მე სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ დელეგაციების მუშაობას ყოველთვის საფუძვლად ედო სიმპატიები ურთიერთისადმი, ნდობა, ერთმანეთის ინტერესების გაგება, შეთანხმების სურვილი, თუ გინდ ამისათვის საჭირო ყოფილიყო ზოგიერთ დათმობებზე წასვლა,—ერთი სიტყვით ყველაფერი ის, რითაც ხასიათდებოდა გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთი-ერთ დამოკიდებულება რაპალოს ხელშეკრულების დადების შემდეგ.

გერმანია იყო პირველი დასავლეთ ევროპის დიდ სახელმწიფოებიდან, რომელთანაც საბჭოთა კავშირმა დაამყარა ნორმალური ურთიერთობა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. რაპალოს ხელშეკრულება იყო პირველი ნორმალური პოლიტიკური შეთანხმება, რომელიც მიღწეული იყო საბჭოთა კავშირის მიერ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოსთან. თვით რაპალოს ხელშეკრულებამ თავის დროზე გააოცა მთელი მსოფლიო, რადგან სხვადასხვა სახელმწიფოებს მათის არსებულ მტრული დამოკიდებულების პირობებში, იგი წარმოადგენდა ორი სახელმწიფოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობის გამოხატულებას. რაპალოს ხელშეკრულებამ განამტკიცა ამ ორ სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და გარეშე ძალებისათვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი. დღეს ძალიან ძნელია ისეთი მაგალითის გამონახვა, როცა შეთანხმება ორ სახელმწიფოს შორის კი არ ზღუდავს, არამედ აფართოვებს მათ დამოუკიდებლობას.

დღეს მიღწეული შეთანხმება განსაკუთრებით ძვირფასია იმით, რომ მას საფუძვლად დაედო რაპალოს ხელშეკრულების პრინციპები, რომლებიც დღეს რეალურად ტარდებიან ეკონომიურ სფეროში ამ შეთანხმების კავშირი და ნათესაობა რაპალოს ხელშეკრულებასთან არის საწინდარი იმისა, რომ შეთანხმება სარგებლობას მოუტანს ორივე რესპუბლიკას".

ლიტვინოვმა ბოლოს დღეგრძელობა უსურვა გერმანიის ხალხს, მის ელჩს მოსკოვში და გერმანიის დელეგაციის წევრებს.

ბროკდორფ-რანცაუს საპასუხო სიტყვა

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ბროკ-დორფ-რანცაუმ, რომელმაც განაცხადა:

„გულითად მადლობას მოგახსენებთ მეგობრულ სიტყვისათვის, რომლითაც თქვენ მიმართეთ ჩვენს დელეგაციას და მე. ჩვენ შევასრულეთ ჩვენი მოვალეობა და მე შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ჩვენ ეს ჩავიდინეთ უდიდესი სიამოვნებით.

ხელშეკრულება დღეს დადებულია. ხელშეკრულებას მოელის კრიტიკა, მაგრამ საქმიანი კრიტიკის მას არ ეშინია. უსარგებლო იქნებოდა დაგვეწყო იმის გამორკვევა, თუ რომელი მხარისათვის უფრო სასარგებლო იქნება იგი, უნდა გვახსოვდეს, რომ ხელშეკრულება დადებულია და იგი უნდა იქნას განხორციელებული რაპალოს ხელშეკრულების თანახმად და მაშინ ორივე მხარე ერთნაირად იქნება დაკმაყოფილებული. მაშინ ეს ხელშეკრულება, მოულოდნელად ყველა იმათთვის, ვინც ალმაცერად უცქერის გერმანიის და საბჭოთა კავშირის ხალხთა თანამშრომლობას, ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების მშვიდობიან განვითარებას და ამით იგი სამსახურს გაუწევს საყოველთაო მშვიდობიანობის დამყარების საქმეს".

ბანკეტი დილამდე გაგრძელდა.

ჩინეთის ამბები

ხელები შორს ჩინეთისაგან

ბერლინი, 14 ოქტ. მუშათა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციამ ამსტერდამში გამართა მიტინგი ლოზუნგით: ხელები შორს ჩინეთისაგან". მიტინგი დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა. მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ედდო ფიმმენი. მან სასტიკად გააკრიტიკა მეორე ინტერნაციონალის პოზიცია, რომელმაც უარი განაცხადა ჩინეთის რევოლიუციონერთა დახმარებაზე და მოუწოდა ჰოლანდიის პროლეტარიატს მხარი დაუჭირონ ჩინელ მუშებს მათ განმანთავისუფლებელ ბრძოლაში.

მიტინგის მიერ მიღებული რეზოლიუცია პროტესტს აცხადებს ჩინეთში იმპერიალისტების ძალადობის წინააღმდეგ.

გენ. ხო-ხუნ-მინის გამგზავრება მოსკოვში

ჩიტა, 12 ოქტ. მოსკოვში მიემგზავრება კანტონის ჯარების სარდალი, გომინდანის ცკას წევრი, გენერალისიმუსი ხო-ხუნ-მინი, რომელიც მიდის საბჭოთა კავშირში საბჭოთა ხელისუფლების მუშაობის, საბჭოთა აპარატის ორგანიზაციის და წითელი არმიის გასაცნობათ.

მუკდენის ჯარებში აჯანყებაა.

პეკინი, 12 ოქტ. შანხაიში მდგომ მუკდენის ჯარების ერთი რაზმი აჯანყდა. სალდათებმა თოფი ესროლეს ოფიცრებს და ბევრი მათგანი დასჭრეს. შანხაის მცხოვრებლები მოითხოვენ მუკდენის ჯარების გაყვანას.

ჩინეთის კომპარტიის კონფერენცია

პეკინი, 12 ოქტ. შესდგა ჩინეთის კომპარტიის არალეგალური კონფერენცია, რომელმაც დაადგინა მიიღოს ყოველივე ზომები, რომ პარტია იქცეს მასიურ პარტიად, მიმართოს მუშებს და ინტელიგენციის რევოლიუციონურ ნაწილს მოწოდებით შევიდნენ პარტიაში.

კონფერენციამ მიმართა გლეხებს მოწოდებით გამოვიდნენ საკუთარი ინტერესების დასაცავად და მიიღონ მონაწილეობა ბრძოლაში ეროვნული თავისუფლებისათვის. კონფერენციამ დაადგინა მჭიდრო კავშირი იქონიოს გომინდანის მემარცხენე ფრთასთან. შესდგა აგრეთვე ჩინეთის კომკავშირის კონფერენცია, რომელიც შეუერთდა პარტიული კონფერენციის პოლიტიკურ ნაწილს. კონფერენციამ დაადგინა გააფართოვოს ორგანიზაციული მუშაობა და შეუდგეს ახალგაზრდა მუშების და სტუდენტების დარაზმვას.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატა

ვარშავა, 12 ოქტ. გაიმართა თათბირი პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის დაარსების პროექტის განსახილველად. თათბირი მოწვეული იქნა პოლონეთის საზოგადოებრივ, საბანკო და სავაჭრო-სამრეწველო წრეების ინიციატივით. თათბირს დაესწრენ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის ხელმძღვანელები.

კრებამ სასურველად და საჭიროდ სცნო პალატის დაარსება და აირჩია საორგანიზაციო კომისია, რომელშიაც შედის 6 წარმომადგენელი პოლონეთის მხრივ და 4 საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობიდან.

ლოკარნოს კონფერენცია

გერმანიაში დარწმუნებული არიან, რომ ლოკარნოში მიღწეული იქნება შეთანხმება

გერმანია არ მოითხოვს ერთა ლიგის წესდების მეთექვსმეტე მუხლის გაუქმებას

სამაგიეროთ მოკავშირეებმა უნდა განაცხადონ, რომ ეს მუხლი არ ვრცელდება გერმანიაზე

თათბირი ტბაზე

ლონდონი, 12 ოქტ. 10 ოქტომბერს სადილის შემდეგ ჩემბერლენმა, ბრიანმა, რეიხსკანცლერმა ლიუტერმა და შტრეზემანმა მოტორიანი ნავით გაისეირნეს მაჯორეს ტბაზე. სეირნობა გაგრძელდა 5 საათი. მინისტრებს თან ახლდენ იურიდიული ექსპერტები.

როგორც იუწყებიან, გასეირნების მიზანი იყო თათბირის გამართვა იმ დაბრკოლებათა გარშემო, რომლებიც ხელს უშლიან შეთანხმებას.

ბურჟუაზიული პრესა ხაზს უსვამს, რომ დამოკიდებულება ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის წარმომადგენელთა შორის ისეთი ხასიათისაა, რომელიც საშუალებას იძლევა ასეთ სეირნობის დროს მოხდეს აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ჩემბერლენმა და სხვა დელეგატებმა განუცხადეს პრესის წარმომადგენლებს, რომ გასეირნების დროს თათბირმა ხელი შეუწყო სადაო საკითხების წარმატებით განხილვას.

ოფიციალური ცნობა

პარიზი, 12 ოქტომბ. მიღებულია ოფიციალური ცნობა ლოკარნოს კონფერენციის შესახებ.

„განიხილდა კამათი იმ საკითხების გარშემო, რომელიც ეხება ერთა ლიგის ხელშეკრულებაში საგარანტიო ხელშეკრულების ხელისმომწერ სახელმწიფოების მონაწილეობას. გერმანიის დელეგაციამ მოითხოვა დამატებითი განმარტებანი. ამის გამო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა სხვადასხვა დელეგაციებს შორის. არის ნიშნები იმისა, რომ მიღებული იქნება შეთანხმება იმ საკითხების გარშემო, რომელნიც უნდა იქნან განხილული კონფერენციის მახლობელ სხდომაზე“.

კომპრომისი მე-16 მუხლის გარშემო

პარიზი, 12 ოქტ. საფრანგეთის წარმომადგენლები ლოკარნოში ფიქრობენ, რომ გერმანია დასთანხმდება ერთა ლიგაში შესვლაზე და ამისათვის არ მოითხოვს მე-16 მუხლის ახლავე გაუქმებას. მოკავშირეების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ისინი ყოველ ძალღონეს იხმარენ, რათა გერმანია არ გახდეს იძულებული მიიღოს ზომები მის ტერიტორიაზე ჯარების გატარების დროს ან მიიღოს მონაწილეობა სამხედრო მოქმედებაში, ან ეკონომიურ ბლოკადაში.

შტრეზემანის ორგანოს იმედები

ბერლინი, 12 ოქტ. შტრეზემანის ორგანო „ტეგლიხე რუნდშაუ“ სწერს: ლოკარნოში უკვე შაბათს მე-16 მუხლის გარშემო შეთანხმება 80 პროცენტით იყო მიღწეული; ახლო მომავალში შეთანხმება მიღწეული იქნება მთელი 100 პროცენტით.

„ლოკალ ანცეიგერ“-ის კორესპონდენტი ადასტურებს, რომ გერმანიის დელეგაციამ უარი სთქვა თავის მოთხოვნილებებზე როგორც მე-16 მუხლის შეცვლის, ისე ამ მუხლის სხვანაირად განმარტების შესახებ; ამის ნაცვლად მოკავშირე სახელმწიფოებმა, მათ შორის პოლონეთმა და ჩეხო-სლოვაკიამ, უნდა განაცხადონ, რომ მე-16 მუხლი არ იქნება გამოყენებული გერმანიის მიმართ.

„რუნდშაუ“ დასძენს: „როგორც სჩანს აღმოსავლეთის ხელშეკრულებათა საკითხშიაც მიღწეული იქნება სრული შეთანხმება“.

„რაც შეიძლება ძვირათ“

ბერლინი, 12 ოქტ. მთავრობის პრესა და აგრეთვე ნაციონალისტები, რომელნიც ილაშქრებენ მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ—თანდათან ემხრობიან ამ პოლიტიკას: „გაჰყიდონ თავისი თავი რაც შეიძლება ძვირათ“.

გერმანიის ნაციონალისტების პოზიცია

ბერლინი, 14 ოქტ. გერმანიის ზომიერი ნაციონალისტი გეტჩი გაზეთ „დერ ტაგ“-ში მოთავსებულ წერილში აღნიშნავს, რომ გერმანელი ნაციონალისტები კვლავინდებურათ უარყოფითად უყურებენ ერთა ლიგის წესდების მე-16 მუხლს, გეტჩი ცდილობს დაამტკიცოს, რომ გერმანიის პოლიტიკა არ არის მიმართული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და რომ ძალიან საეჭვოა ინგლისმა შექმნას ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტი და მიიმხროს აგრეთვე გერმანიაც.

გეტჩი ათავებს თავის წერილს შემდეგი განცხადებით:

„თუ გერმანიას სურს შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა, მან უნდა აწარმოვოს პოლიტიკა: „არც იქეთ, არც აქეთ“.

ვინ ამბობს მართალს?

პარიზი, 12 ოქტ. ლოკარნოდან იუწყებიან, რომ ბრიანმა კონფერენციის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ მოლაპარაკება დიდი წარმატებით მიმდინარეობს.

გერმანიის დელეგატმა შუბერტმა განაცხადა, რომ მოლაპარაკება ცოტაოდენი წარმატებით მიმდინარეობს.

კამათი საგარანტიო ხელშეკრულების გარშემო

პარიზი, 12 ოქტ. ჰავასის სააგენტოს ცნობით ლოკარნოს კონფერენციაზე დაიწყო კამათი საგარანტიო ხელშეკრულების იმ მუხლის შესახებ, რომელიც სამხედრო ინტერვენციის უფლებას აძლევს საფრანგეთს საარბიტრო ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში გერმანიას, პოლონეთსა და ჩეხო-სლოვაკიის შორის.

გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარე ლოკარნოში წავიდა ბერლინში.

ბერლინი, 12 ოქტ. როიტერის სააგენტო იუწყება, რომ გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარე დოქტორი კიმერი ლოკარნოდან წავიდა ბერლინში პრეზიდენტისათვის და კაბინეტისათვის ინფორმაციულ მოხსენების გასაკეთებლად ლოკარნოს კონფერენციის შესახებ.

მაროკოს ომის წინააღმდეგ

24 საათის საპროტესტო გაფიცვა საფრანგეთში

პარიზში და პროვინციალურ ცენტრებში მთავრობა თავს უყრის პოლიციას და ჯარებს

პარიზში გაფიცვაში მონაწილეობას იღებს მუშების დიდი ნაწილი

ამხ. დორიოს დაპატიმრება.—ერთი დღის განმავლობაში დააპატიმრეს 300 კაცი.

თავს უყრიან პოლიციას და ჯარებს

პარიზი, 12 ოქტომბერი. ორშაბათისათვის დანიშნულ საყოველთაო გაფიცვის ჩასაშლელად საფრანგეთის მთავრობამ თავი მოუყარა პარიზში პოლიციის ძალებს და ჯარებს, რომლებიც იცავდენ ქარხნებს და ტრამვაის დეპოს. აკრძალულია ფურცლების გამოქვეყნება და დარიგება. კონფისკაცია უყვეს „იუმანიტე“-ს სპეციალურ ნომერს და „ვი უვრიერ“-ის უკანასკნელ ნომერს, რომლებიც მოუწოდებდენ საყოველთაო გაფიცვისაკენ.

საფრანგეთის კომპარტიის გენერალურ მდივნის სემარის და „იუმანიტე“-ს რედაქტორ ბელანჟეს წინააღმდეგ აღძრულია საჩივარი „იუმანიტე“-ს სპეციალური ნომერის და გაზეთ „კოზერნ“-ის უკანასკნელი ნომერის გამოცემისათვის.

ზომები გაფიცვის ჩასაშლელად

პარიზი, 12 ოქტომბერი. მოქმედების ცენტრალური კომიტეტი და კომპარტია აწარმოებენ აგიტაციას მაროკოს და სირიის ომების წინააღმდეგ 24 საათის საპროტესტო გაფიცვის გამოცხადების სასარგებლოთ. ამის გამო საფრანგეთის ხელისუფლება თავს უყრის პოლიციის ძალებს, როგორც პარიზში, ისე პროვინციალურ ცენტრებში. პოლიციამ დაიკავა ყველა ქალაქებში ელექტრონის სადგურები, წყალსადენი და ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო. გარდა ამისა საფრანგეთის ნავთსადგურებიდან გაიგზავნა პარიზში საზღვაო ბრიგადები გაფიცვის დროს ტრამვაის კონდუქტორების და ომნიბუსების ვატმანების შესაცვლელად.

კომუნისტების დევნა

პარიზი, 12 ოქტომბერი. პარიზის „გამასწორებელმა ტრიბუნალმა“ კომუნისტ ბომშეფს, ჟერარს, რეჟინოს და ჟილბერს „სამხედრო მოსამსახურეთა წაქეზებისათვის უფროსთა ბრძანებების არშესრულებისაკენ“, მიუსაჯა 6 თვის ციხე და 2.000 ფრანკი ჯარიმა თვითეულს. „იუმანიტე“-ს რედაქტორს და კომუნისტს მორის ტორეს მიუსაჯა 8 თვის ციხე და ჯარიმა 2.000 ფრანკი, ფრანგ კომკავშირელს შასხელს ხიუზანა ჟიროს—ათი თვის ციხე და ჯარიმა 2000 ფრანკი. კაშენს, დორიოს, მიდოლს და მონმუსოს—13 თვის ციხე და ჯარიმა 3.000 ფრანკი. განაჩენი გამოტანილია ბრალდებულთა დაუსწრებლად საქმის გარჩევაზე.

გაფიცულია მუშების დიდი ნაწილი

პარიზი, 12 ოქტ. ტრამვაის და ავტობუსების მოსამსახურეების გაფიცვაში მონაწილეობას ღებულობს მუშების 60 პროცენტი.

საგაფიცვო კომიტეტი იტყობინება, რომ გაფიცულ მეტალისტების რაოდენობა უდრის 30 პროცენტს, საამშენებლო დარგის მუშების—80 პრ., ქიმიური მრეწველობის მუშების—50 პროცენტს, დანარჩენების—25 პრ.

რუანის და გავრის ნავთსადგურებში შეწყვეტილია მუშაობა, რადგან გაფიცულნი არიან დოკერები.

დაპატიმრებულთა რიცხვი იზრდება

პარიზი, 12 ოქტ. მოსალოდნელ გაფიცვასთან დაკავშირებით, დაპატიმრებულთა რიცხვი პარიზში აღწევს 300-დე, აქედან 100 ციხეშია მოთავსებული. პოლიციის აგენტებიდან დაჭრილია 16 კაცი.

კომუნისტების მიერ მოწყობილი 5 კრება უინციდენტოდ ჩატარდა.

დორიო სანტეს ციხეში

პარიზი, 12 ოქტ. ჰავასის სააგენტოს ცნობით, კომუნისტი დეპუტატი დორიო, რომელმაც სილა გაარტყა ხელჩართული ბრძოლის დროს პოლიციელს, დააპატიმრეს და მოათავსეს სანტეს ციხეში.

ფ. ბრამლის გარდაცვალების გამო

მოსკოვის საბჭოს სამძიმრის დეპეშა

მოსკოვი, 13 ოქტ. მოსკოვის საბჭომ ინგლისის ტრედ-იუნიონების გენერალურ საბჭოს ლონდონში გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„მოსკოვის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმი ღრმა თანაგრძნობას გიცხადებსთ ინგლისის ტრედ-იუნიონების გენერალურ საბჭოს მდივნის, მოსკოვის საბჭოს საპატიო წევრის ბრამლის გარდაცვალების გამო.

უნგრეთის რევოლიუციონერების საქმე

რაკოშის და მისი ამხანაგების სიცოცხლე საშიშ მდგომარეობაშია

ვენა, 12 ოქტომბერი. რაკოშის და მისი ამხანაგების საქმის წინასწარი გამოძიება დამთავრდა. რაკოშის სიცოცხლე განსაცდელშია. შეიძლება საგანგებო სასამართლომ საქმის გარჩევა ხუთშაბათს დაიწყოს. მემარჯვენე გაზეთების გადმოცემით, სასიკვდილო განაჩენი საგანგებო სასამართლოს მიერ მისჯილი განაჩენის გამოქვეყნების ორი საათის შემდეგ, მოყავთ სისრულეში.

გაზეთების გადმოცემით რაკოშმა და მისმა ამხანაგებმა შაბათს შეუწყვიტეს შიმშილობა.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

გერმანია

სილეზიაში 30.000 მუშას დათხოვნა მოელის.

ბერლინი, 14 ოქტ. ვალდენბურგის (სილეზია) ნახშირის მაღაროების მუშათა მდგომარეობა აუტანელი შეიქნა. ამის გამო, შრომის სამინისტრომ გაუდიდა მუშებს ხელფასი 7 პროცენტით. მრეწველებმა, რომლებზეც სამინისტროს დადგენილებამ, რომელიც სავალდებულოთ ითვლება ორივე მხარესათვის, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, უარი სთქვეს სამედიატორო წესით საკითხის განხილვაზე და განაცხადეს, რომ შესაძლებელია აღნიშნულ რაიონის ყველა მუშების დათხოვნა. ასეთი ზომა შეეხება 30.000 სამთომადნო მუშას.

სხვა და სხვა ამბები

— **ორეხოვო-ზუევის ტრესტის თავმჯდომარე ამერიკაში.** ნიუ-იორკში ჩავიდა ორეხოვო-ზუევის ტრესტის თავმჯდომარე მატვეევი ბამბის და საფეიქრო მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობის შესყიდვის პირობების გასაგებად.

— **კაპაბლანკა მიდის მოსკოვის შეჯიბრებაზე.** ჭადრაკის ჩემპიონმა კაპაბლანკამ კვლავ შესცვალა თავისი განზრახვა და ფიქრობს მიიღოს წინადადება ჭადრაკის მოთამაშეების გავანის ორგანიზაციისა, რომელიც თავის ხარჯზე გზავნის მას მოსკოვში ჭადრაკის საერთაშორისო ტურნირზე.

— **ფრანგი კომუნისტები ქალაქის საბჭოს მრჩევლებად.** ქალაქის სამართველოს დამატებით არჩევნებზე პარიზის გარე უბნებში კომუნისტი არიგო არჩეულია ქალაქის საბჭოს მრჩევლად; კომუნისტი მესლი არჩეულია გენერალურ მრჩევლად ლონჟიუმოში.

— **შიმშილობა ლიუბლინის ციხეში.** ლიუბლინის ციხეში პოლიტიკურმა პატიმრებმა შიმშილობა გამოაცხადეს. შიმშილობის მიზეზია პატიმრების ცემა-ტყეპა.

— **კომკავშირის ყრილობის აკრძალვა.** ტიურინგიის მთავრობამ აკრძალა კომკავშირის ყრილობა, რომელიც დანიშნული იყო 15 ოქტომბრისათვის ქალაქ გერაში.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

თათბირი რ. ქ. პ. ცკას ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებასთან

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. რ. კ. პ. ცკას ბეჭდვითი სიტყვის განყოფილება 20 ოქტომბერს იწვევს საოლქო და საგუბერნიო ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებათა გამგეებს, პროვინციალურ გაზეთების რედაქტორების და გამომცემლობათა წარმომადგენლების თათბირს.

მსუბუქი ავტომობილების დამზადება იჟორის ქარხანაში

ლენინგრადი, 13 ოქტ. ჩრდილოეთ-დასავლეთის სამრეწველო ბიუროსთან გამართულმა თათბირმა დაადგინა იჟორის ქარხანაში დაიწყოს ავტომობილების დამზადება. ყოველთვიურად გამოშვებული იქნება მსუბუქი 100 მანქანა.

ამხ. ვოიკოვი დაბრუნდა მოსკოვში

მოსკოვი, 18 ოქტომბერი. 11 ოქტომბერს მოსკოვში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი პოლონეთში ამხ. ვოიკოვი.

ყირიმი

საჰაერო შეჯიბრება

კოკტებელი, 13 ოქტ. 11 ოქტომბერს შეჯიბრების გათავების შემდეგ მფრინავი იუნგმეისტერი აფრინდა „ავიაქიმის“ 2 ადგილიან პლანერით. ამ აფრენით იუნგმეისტერმა გილო ორი მსოფლიო რეკორდი: სიმაღლისა და ფრენის მანძილის მხრივ. ძირს დაშვების დროს აპარატი დაზიანდა. მფრინავი და მგზავრი მსუბუქად დაშავდენ.

კონკურსი ლენინის ძეგლის ასაგებად

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებაში წითელ მოედანზე ლენინის ძეგლის აგების შესახებ ნათქვამია, რომ ეს შეჯიბრება წარმოადგენს 3 ხარისხოვან შეჯიბრების პირველ საფეხურს ამ შეჯიბრების დროს გამონახული უნდა იქნას ძეგლის იდეა, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს მეორე საფეხურის შეჯიბრებაში მონაწილეთა შემოქმედებას. ძეგლის პროექტის შედგენის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რათა ამ ძეგლში მოთავსებული იქნეს თვით დიდი ბელადის ნეშტი. აკლდამის ცენტრალური შიგნითი ნაწილი უნდა წარმოადგენდეს მიწისქვეშა დარბაზს, რომელშიაც უნდა მოთავსდეს კუბოს დასასვენებელი სავანე. ამ დარბაზის გარშემო შეიძლება აგებული იქნეს სამუზეუმო ოთახები. კედლებზე და თაღებზე დასაშვებია დეკორატიული მხატვრობა მსოფლიო რევოლიუციის მთავარი ეტაპებიდან, განსაკუთრებით სურათები, რომელნიც გამოხატავენ. მუშათა მოძრაობას და ვლადიმირ ილიჩის როლს მასში. დასაშვებია აგრეთვე შენობის კომპოზიციაში შეტანილი იქნეს მინანქრიანი გრაფიკები და წარწერები. მთელი შენობის კომპოზიციაში უნდა შედიოდეს აგრეთვე ტრიბუნა, როგორც წითელი მოედნის ცენტრი. აკლდამა ხუროთმოძღვრების თვალსაზრისით უნდა შეუთანხმდეს კრემლის კედელს და მთელ წითელ მოედანს. ავტორებს ეძლევათ სრული თავისუფლება იდეის დამუშავებისათვის. პროექტების დასაჯილდოვებლად დანიშნულია 10 პრემია—1.000—400 მანეთამდე. შეჯიბრებისათვის წარმოდგენილ ნაშრომთა განსახილველად შედგენილი იქნება საკონკურსო კომისია.

საკავშირო პროფსაბჭოს დელეგაციის დაბრუნება

საუბარი ამხ. ლეპსესთან

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. 11 ოქტომბერს მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია, რომელმაც ინახულა ჩინეთი და იაპონია. საბჭ. კავშირის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს დელეგაციის თავმჯდომარემ ლეპსემ სთქვა:

„ჩვენმა დელეგაციამ დასტოვა მოსკოვი 3 თვის წინად. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ვიყავით პეკინში, შანხაიში, კანტონში, შიმონოსეკიში, ტოკიოში და კობეში. შანხაიში ჩვენ ჩავედით სწორედ იმ დროს, როდესაც იწყებოდა შანხაის გაფიცვების ლიკვიდაცია. ჩვენ დავინახეთ შანხაის პროფკავშირთა საბჭოს ენერგიული მუშაობა. შანხაის საბჭო წარმატებით ხელმძღვანელობს მოძრაობას არა მარტო ორგანიზაციულად, არამედ პოლიტიკურადაც. შავრაზმელებმა მოჰკლეს გომინდანის გენერალური მდივანი კანტონის ნაციონალურ მთავრობის წევრი, ლიაო-ჩუნგ-კაი. ჩვენ ვიყავით აგრეთვე მოწმენი კანტონის მუშათა, სტუდენტთა და წვრილ ვაჭართა მრავალრიცხოვან დემონსტრაციისა იმპერიალისტების წინააღმდეგ და გომინდანის მთავრობის სასარგებლოთ.

კანტონში ჩვენ ფართოდ გავეცანით პროლეტარულ ორგანიზაციებს. იქ მეტად აფასებენ საბჭოთა პროფკავშირების დამოკიდებულებას ჩინეთის მუშებისადმი. იქ იციან აგრეთვე, რომ პროფინტერნმა და კომინტერნმა ამსტერდამის და ე. წ. „სოციალისტურ“ ინტერნაციონალის წინაშე დასვეს ჩინეთის მუშებისათვის შეერთებული ძალებით დახმარების აღმოჩენის საკითხი.

ჩვენ ვაცნობეთ კანტონელ ამხანაგებს, რომ რეფორმისტებმა კატეგორიული უარი განაცხადეს რაიმე შეთანხმებულ მოქმედებაზე ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციის დასაცავად. ეს ფედერაცია დიდ როლს თამაშობს ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ბრძოლაში.

კანტონიდან დაბრუნების შემდეგ ჩვენ მივიღეთ ოსაკიდან იაპონიის პროფკავშირთა საბჭოსაგან დეპეშა, რომლითაც აღმასკომის დადგენილებით გვეპატიჟებოდენ იაპონიაში პროფესიონალურ მოძრაობის გასაცნობად. იაპონიის საელჩოში ვიზების მიღების შემდეგ ჩვენ გავემგზავრეთ მუკდენით კორეისა და იაპონიაში.

იაპონიაში ორი შეხვედრა გაგვიმართეს. ერთი მხრივ მუშებმა, მეორე მხრივ—პოლიციამ. ორივე შეხვედრამ მოლოდინს გადააჭარბა. მუშების შეხვედრამ თავისი უდიდესი ენტუზიაზმით, პოლიციისამ—არაჩვეულებრივი თავხედობით, მოურიდებლობით. პოლიცია ამ შემთხვევაში მოქმედებდა შინაგან საქმეთა მინისტრის უშუალო ხელმძღვანელობით. უკანასკნელ დღეებში აპატიმრებდენ მხოლოდ იმისათვის, რომ დელეგაციას სადარბაზო ბარათები გადასცეს, აპატიმრებდენ ხელის ჩამორთმევისათვის, სალამის მიცემისათვის. დიდი ვაი-ვაგლახით ვინახულეთ ტოკიოში მუშათა და სტუდენტთა 12 ორგანიზაცია. ჩვენ ვერ გავეცანით ოსაკის ორგანიზაციებს, თუმცა იმათგანაც მივიღეთ მიპატიჟება.

მიუხედავათ საშინელი რეპრესიებისა, უკან დაბრუნების დროს მუშათა დელეგაციები გვხვდებოდენ ყველა სადგურებზე“.

ინგლისის საპარლამენტო დელეგაციის გამგზავრება

ლენინგრადი, 18 ოქტ. 12 ოქტომბერს ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია გაემგზავრა რკინისგზით საზღვარ-გარეთ.

საუბარი უოლხედთან

ლენინგრადი, 13 ოქტ. საბჭ. კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ინგლისის საპარლამენტო დელეგაციის თავმჯდომარემ უოლხედმა სთქვა:

„ინგლისის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ დამოკიდებულია კონსერვატიულ კაბინეტის დამხობაზე. დღევანდელ თემთა პალატის მუშაობის ვადა თავდება მხოლოდ 1927 წელს. ამას წინად ორ ოლქში მომხდარი დამატებითი არჩევნები და მრავალი სხვა ნიშნები ამტკიცებენ, რომ ინგლისის საზოგადოებრივი აზრი უკვე ძველი სიმპატიებით აღარ ეპყრობა კონსერვატორებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ 1926 წლის დასაწყისში გაფიცვები და საყოველთაო უკმაყოფილება აიძულებს მეფეს დაითხოვოს პარლამენტი. ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ უდიდესი სიფრთხილე, რათა კონსერვატორებმა მომავალ არჩევნებში არ შეიძინონ პოლიტიკური კაპიტალი რაიმე „ზინოვიევის წერილის“ ან ანალოგიურ ფაქტის საშუალებით“.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ქობულეთის სანატორიუმის გაფართოება.

ბათომი. 12. ოქტ. აჭარისტანის საკურორტო სამმართველო 1925—26 წლის საზამთრო სეზონისათვის ქობულეთის სანატორიუმს უმატებს 100 საწოლს.

გადადებულია 2.000 მანეთი ქობულეთის აგარაკების შესაკეთებლად.

სახალხო სახლის შეკეთება.

ბათომი, 12 ოქტ. ქობულეთის სამაზრო აღმასკომმა გადასდო 2.500 მანეთი ქობულეთის სახალხო სახლის შესაკეთებლად.

აფხაზეთი

თანამდებობიდან მოხსნა.

სოხუმი. 12 ოქტ. აფხაზეთის იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილე კონსტანტინე სმერჯიევი, რომელსაც დაუმტკიცდა უფლების გადამეტება და არაკომუნისტური საქციელი, საქართველოს კომპარტიის ცკას პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად მოხსნილია ყოველგვარ საპასუხისმგებლო სამუშაოდან, სასტიკი საყვედურის გამოცხადებით.

გლეხის სახლი.

სოხუმი. 12 ოქტ. გუდაუთში და პსირცხში (ყოფ. ახალი ათონი) განზრახულია გლეხის სახლების გახსნა.

აჭარისტანი

ბათომის მოსახლეობა.

ბათომი, 12 ოქტ. ბათომის სამისამართო მაგიდის უკანასკნელი ცნობით, ბათომში მცხოვრებთა რიცხვი უდრის დაახლოვებით 60 ათას კაცს.

სომხეთი

ფსიქიატრიული სამკურნალო.

ერივანი, 10 ოქტ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ფსიქიატრიულ სამკურნალოში ამჟამად ირიცხება 23 სულით ავადმყოფი, აქედან 18 განუკურნებელია, დანარჩენებს გზავნიან კურორტებზე საექიმოთ.

პარტიული ცხოვრება

პარტაქტივის აღზრდა

როგორც ვიცით, პარტიული და უპარტიო მასების ხელმძღვანელობის საქმეში პარტაქტივი მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს. პარტაქტივი—ხელმძღვანელი კადრია. მაგრამ პარტიულ აქტივისტს მხოლოდ მაშინ შეუძლია სათანადო სიმაღლეზე დააყენოს ეს ხელმძღვანელობა, თუ ის პოლიტიკურად საკმაოდ მომზადებულია, თუ მას სოციალისტური აღმშენებლობის მიზნები და ამოცანები უფრო კარგად ესმის, ვიდრე მასას.

მაგრამ უკანასკნელ წლებში ჩვენ ვხედავთ, რომ პარტიული მუშაკების ძველი კადრები საგრძნობლად ჩამორჩენ პარტიის ზევრ უფრო ახალგაზრდა წევრების საერთო განვითარებას. ეს აიხსნება, ერთის მხრით; მით, რომ ჩვენი პარტიის აქტივი იმდენად დატვირთულია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობით, რომ მას აღარ რჩება დრო არც პარტსკოლებში სასიარულოდ, არც დამოუკიდებლად თვითგანვითარების მისაღებად. პარტაქტივის ზედმეტად დატვირთვა უსათუოდ აჰქვეითებს მის პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებას. ვინაიდან პარტიულ აქტივისტს არ შეუძლია წაიკითხოს სერიოზული წიგნი, ვერ ასწრებს გაზეთის წაკითხვას, ის იყინება განვითარების ერთ წერტილზე და შემდეგ კი რჩება უკან.

პარტაქტივის ჩამორჩენილობის მეორე მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ პარტიის მთელი ყურადღება, პარტიული განათლების მთელი სისტემა მიმართული იყო წარსულში ლენინის მიერ გაწვეულების გადამზადებისაკენ, „ძველები“ კი დროებით მივიწყებული იყვნენ. ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს მომავალ სასწავლო წლის განმავლობაში.

ამისათვის პირველ ყოვლისა საჭიროა პარტიის იმ დირექტივის ცხოვრებაში გატარება, რომელიც ეხება პარტაქტივის განტვირთვას. დღის ლოზუნგი—არა ნაკლებ ერთი დღისა 2 თავისუფალი საღამოსი კვირაში აქტიურ პარტიულისათვის—უნდა იქნეს განხორციელებული ახლო მომავალში. ამავე დროს საჭიროა გამონახული იქნეს საშუალებანი პარტიულ აქტივთან სპეციალურ აღმზრდელობითი მუშაობის საწარმოებლად.

ამ მხრივ უმთავრესად შეიძლება გამოყენებული იქნას თვითგანათლების წრეები, პოლიტგანათლების საღამოს კურსები და სხვ. გარდა ამისა პარტაქტივთან სამეცადინოთ უნდა იქნას გამოყენებული ლენინიზმის და მარქსიზმის წრეები, აგიტატორების და პროპაგანდისტების მოსამზადებელი წრეები და სხვა. ბოლოს, სადაც ეს შესაძლებელია, საჭიროა მოეწყოს იმ აქტივის გადასამზადებელი სპეციალური კურსები, რომელიც ჩაბმულია პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ მუშაობაში.

პარტაქტივთან აღმზრდელობითი მუშაობის მიზანი უნდა იყოს შემდეგი: პარტიის წევრმა სრულიად თავისუფლათ უნდა იკითხოს წიგნები. და მაშასადამე აწარმოებდეს დამოუკიდებელ მუშაობას თვითგანათლების მიზნით. ეს ერთნაირად შეეხება, როგორც ქალაქის, ისე სოფლის აქტივისტებს. საჭიროა პარტიის აქტივს მიეცეს შემდეგი განვითარების საშუალება, რათა ამით უზრუნველყოფილი იქნეს პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესება.

ბ. ბ.

წერილები ადგილებიდან

თბილისი

ს. ს. ს. რ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კომუჯრედი.

ზემოხსენებული კომუჯრედის ერთერთ უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ცაგურიას მოხსენება ბიუროს მუშაობის შესახებ. მოხსენების გარშემო მიღებულ მთელ რიგ კონკრეტიულ ღონისძიებათა საფუძველზე ახლად არჩეულმა ბიურომ გამოიმუშავა უჯრედის მუშაობის სამთვიანი გეგმა, რომელშიაც, სხვათაშორის, აღნიშნულია, რომ აქტიურ მუშაობაში იქნან ჩაბმული უპარტიო ამხანაგებიც, განსაკუთრებით კი განყოფილებათა გამგეები და სპეციალისტები, რომლებიც უჯრედის ღია სხდომებზე გააკეთებენ მოხსენებებს თავიანთ განყოფილებათა მოქმედებაზე. 8 ოქტომბერს მიწათმოწყობის განყოფილების გამგეს ვ. გოგილაძის მიერ კიდეც გაკეთებულ იქნა პირველი მოხსენება საქართველოში მიწათმოწყობის შესახებ. მოხსენებას დაესწრენ თბილისში მოსამზადებელ კურსებზე მყოფი თემაღმასკომების მდივნებიც. მომხსენებელმა მოკლედ შეეხო მიწათმოწყობის საკითხის ისტორიას, გააშუქა მიწის რეფორმის ვითარება, გააცნო კრებას გასაბჭოების დღიდან 1924 წ. ოქტომბრის 1-დე და 1924 წ. ოქტომბრის 1-დან, ერთი წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის ანგარიში და აღნიშნა განყოფილების უახლოესი ამოცანები. მოხსენების შემდეგ შემოტანილი იქნა აუარებელი შეკითხვები, რომლებზედაც მომხსენებელმა გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი. კრების დახურვის წინ ამხ. ი. გეგეჭკორმა მიმართა დამსწრეთ თხოვნით, უმთავრესად კი გადასამზადებელ კურსებზე სოფლიდან ჩამოსულ ამხანაგებს, რათა მათ ხელი შეუწყონ ადგილობრივ ყველა იმ ღონისძიებათა გატარებას, რომლებიც დასახული აქვს მიწ.-მოქმ. სახალხო კომისარიატს ჩვენი ქვეყნის სასოფლო-მეურნეობის აღსადგენად და განსავითარებლად.

ხამაშურიძე.

ქ. თელავი

როგორ მიმდინარეობს პარტიული მუშაობა

თელავის მაზრის პარტორგანიზაცია აერთიანებს 31 კომუჯრედს, რომლებშიაც ირიცხება 220 წევრი და 66 კანდიდატი. სამაზრკომის მთელი მუშაობა გადატანილია სოფლად. პარტიული კომიტეტის საუკეთესო ძალები გაგზავნილი არიან სოფლებში. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული აგრეთვე ნაციონალურ უმცირესობათა—ქისტების, ფშავ-ხევსურების და ოსების შორის მუშაობას. ამას გარდა ადგილობრივი ორგანიზაციის წინაშე წამოჭრილია ამოცანა: ჩვენი პარტიის წევრების კულტურულ-პოლიტიკურ განვითარების დონის აწევა. ამ მიზნით მაზრაში დაარსებულია მოძრავი სკოლა, რომელშიაც ოთხი თვის განმავლობაში მეცადინეობა დაასრულა [illegible] 90 წევრმა და კანდიდატმა. საკულტურო-საპროპაგანდო განყოფილების მიერ [illegible] კომუჯრედებთან პოლიტწრეების დაარსებაც. ამ მიმართულებით ნაბიჯები უკვე გადადგმულია.

გ. ქ—ძე.

ქალთა შორის მუშაობა

კულაშის თემი (ქუთ. მაზ.)

კულაშის თემში არსებობს ქალთა ორგანიზაცია, სადაც დაახლოებით შედის 50-მდე წევრი. ჩვენდა სამწუხაროდ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვერ სდგას თავისი დანიშნულების სიმაღლეზე. მიზეზი ამისა ის არის, რომ ხელმძღვანელი არ არის საკმაოდ მომზადებული. ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც ხელმძღვანელი ორგანიზაციაში აკეთებს მოხსენებებს ისეთ უმნიშვნელო და არასაჭირბოროტო ხასიათის საკითხებზე, რომ სჯობია ასეთი მოხსენებები სრულიად არ გაკეთდეს. გარდა ამისა ხელმძღვანელი ძვირად თუ დაესწრება ქალთა ორგანიზაციის სხდომებს. საჭიროა რომ ადგილობრივმა ქალთა განყოფილებამ ამას ამთავითვე მიაქციოს ყურადღება, რათა კულაშის თემის ქალთა ორგანიზაციამ არ დაკარგოს თავისი ავტორიტეტი.

ი. მახნაძე.

ახალგაზრდა ქალთა შორის მუშაობის გაღრმავებისათვის

კომკავშირი დღეს იზრდება რიცხობრივად. ეს ზრდა უმთავრესად ხდება მუშური და გლეხური ახალგაზრდობის ხარჯზე. მაგრამ აქ საჭიროა ერთ ნაკლს მივაქციოთ ყურადღება. ახალგაზრდა ქალთა შორის მუშაობა ვერ სდგას თავის სიმაღლეზე და ახალგაზრდა ქალთა ჩაბმის საქმეც ორგანიზაციაში ძალზე მოისუსტებს. რა ღონისძიებებს უნდა მივმართოთ, რომ თავი დავაღწიოთ ამ არანორმალურ მდგომარეობას? საჭიროა ხშირ-ხშირად მოწვეული იქნას უპარტიო ახალგაზრდა ქალთა კონფერენციები, რომლებზედაც უნდა გავაცნოთ მათ კომკავშირის მიზნები და ამოცანები. საჭიროა მათ შორის საინტერესო თემებზე ლექციების და მოხსენებების წაკითხვა, საუბრების მოწყობა, რაც გაზრდის მათ ლტოლვას კომკავშირისაკენ. გარდა ამისა აუცილებელია, რომ კომკავშირელ ქალების საშუალებით უპარტიო ახალგაზრდა ქალები მივიზიდოთ ჩვენი უჯრედების ღია სხდომებზე. ასეთი გზით ჩვენ გავზრდით ახალგაზრდა ქალთა რიცხვს კომკავშირში. თუ დღეს მათი რიცხვი ჩვენს რიგებში აღწევს მხოლოდ 10 პროც. ახლო მომავალში ეს პროცენტი კიდევ უფრო მეტად გაიზრდება.

გრ. მ—ძე.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

სოფ. ნაგომარი (გურია)

უჯრედის მუშაობა გამოცხოველდა

სოფელ ნაგომარში კომკავშირის უჯრედი დაარსდა 1922 წელს. პირველ ხანებში ეს უჯრედი აერთიანებდა 10 წევრს, ეხლა კი—52 წევრს. ამათში 21 კომკავშირელი ქალებია. უჯრედის დამოკიდებულება უპარტიო ახალგაზრდობასთან დღითიდღე უმჯობესდება. ეს იქიდან სჩანს, რომ საზოგადოებრივ თუ კულტურულ მუშაობაში ეს უპარტიო ახალგაზრდობა უჯრედთან ერთად მხურვალე მონაწილეობას ღებულობს. კავშირი პარტიულ უჯრედთან დღემდე ძალზე მოისუსტებდა, ამ ჟამად კი ეს ნაკლი გამოსწორებულია.

შაქრო კვირტნაძე.

სასოფლო მეურნეობა

ძვირფას კულტურების განსავითარებლად

მოსკოვიდან მიღებული ცნობის თანახმად საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს გამოტანია დადგენილება იმის შესახებ, რომ ჩაქვის ბოტანიკური ბაღი, სოხუმის „სუბტროპიკული ფლორის“ ბაღი და საცდელი სადგური, და ნიკიტინის ბოტანიკური ბაღი ყირიმში ჩათვლილ იქნეს საბჭოთა კავშირის ძირითად საცდელ სამეურნეო დაწესებულებებად, რომელთაც უნდა დაამზადონ სამხრეთ კულტურის მცენარე-ნედლეული საბჭოთა კავშირის მრეწველობის და სასოფლომეურნეობის საჭიროებისათვის. ამასთანავე დადგენილი იქნა ზემოხსენებულ საცდელ სადგურებისა და ბაღებისათვის ყოველწლიურად გადადებული იქნეს სპეციალური თანხები საბჭოთა კავშირის ბიუჯეტიდან. იმ თანხებს, გარდა რომელიც ხარჯთ-აღრიცხვაში იქნება შეტანილი ამ საცდელი სადგურების საჭიროებისათვის, საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ ამ თავითვე გადასდო 77.500 მანეთი. ამ თანხიდან აფხაზეთის საცდელ სადგურისა და „სუბტროპიკული ფლორის“ ბაღს მოხმარდება 28 ათასი მანეთი.

ჩაქვის ბოტანიკური ბაღის საჭიროებისათვისაც დაახლოვებით გადებული იქნება 30 ათასი მანეთი.

აფხაზეთის, აჭარისტანის და ყირიმის საცდელი დაწესებულებების—ბოტანიკური ბაღების და სადგურების დანიშნულებას შეადგენს გაავრცელონ შავი ზღვის ნაპირად მდებარე სუბტროპიკულ მიდამოებში სამხრეთის ძვირფასი კულტურა იმ რაოდენობით, რომ შესაძლებელი გახდეს საბჭოთა კავშირის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. გასავრცელებელ კულტურათა შორის მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს: კაუჩუკს, პრობკის ხეს, ეთერის ზეთის მცენარეს, სამკურნალო მცენარეებს, ქინაქინას და სხვას.

ახალი სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება

სოფელ ჭანიეთში (ოზურგეთის მაზრა) გლეხებმა დაარსეს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება. საზოგადოება აშენებს თხილის ბაღებს, მანდარინებს, აწყობს თამბაქოს პლანტაციებს, ყიდულობს გლეხებისაგან თხილს, ღვინოს და სხვ. საზოგადოება მიზნად ისახავს სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელებას და სოფლის კეთილმოწყობის გაუმჯობესებას. საზოგადოებამ უკვე დააარსა სამკითხველო. შენდება სახალხო სახლი. გლეხობა დიდ ინტერესს იჩენს საზოგადოებისადმი. საზოგადოებას ესაჭიროება კრედიტი, რაც საშუალებას მისცემს მას გააფართოვოს თავისი მუშაობა.

ვენახების აღდგენა

ვენახების ახალი სანერგეები

საქართველოს ვენახების აღსადგენათ დაწყებული მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. ვენახების გამოსაბრუნებლად მიღებულ ღონისძიებათა შორის პირველი ადგილი უჭირავს საქართველოს სავენახე რაიონებში ახალ-ახალი სანერგეების გაშენებას.

ვენახების აღსადგენ მუშაობას აწარმოებს უმთავრესად მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი, შემდეგ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, წარმოკავშირი და ადგილობრივი აღმასკომები.

1921 წელს სანერგეები ქონდათ მიწათმოქმედების კომისარიატების ორგანოებს. აღნიშნულ წელს სანერგეთა საერთო სივრცე 25 დესეტინას არ აღემატებოდა.

1925 წლის გაზაფხულისათვის კი სანერგეთა საერთო სავრცე უდრიდა 221 დესეტინას.

აქედან მიწათმოქმედების სახ. კომს ეკუთვნის 159 დესეტინა, კოოპერატიულ ორგანიზაციებს—56 დესეტინა, გორის აღმასკომს—6 დესეტინა. ყველა სანერგეები ჯერ კიდევ დამძლავრებული არ არის. მხოლოდ სამი წლის შემდეგ შესაძლებელი გახდება მათი გამოყენება. სულ ამ სანერგეებში შესაძლებელი იქნება 8 მილიონი მეტრი ამერიკული ლერწის მიღება; თუ ლერწზე დამყნობა რინხერის წესით იწარმოებს, ამ სანერგეებიდან შეიძლება დამზადდეს 2 მილიონი ცალი გასაშენებლად გამოსადეგი დამყნილი ვაზი. რაც ჩვენ მევენახეებს საშუალებას მისცემს ყოველწლიურად აღადგინონ და განაახლონ 2 ათასი დესეტინა ვენახი.

ნამყენ ვაზების გამოწერა

გაშენებული სანერგეებიდან დამყნილი ვაზის მიღებას დაჰგვიანდება 3 წელიწადი მაინც. იმ მოსაზრებით, რომ არ დაბრკოლდეს ვენახების განახლების საქმე, საქ. მიწათმოქმედების სახ. კ—ს განზრახვა აქვს გამოიწეროს მომავალი გაზაფხულისთვის ამერიკული ვაზების ლერწები, რომლებიც ჩვენში კარგს შედეგს იძლევა, გასულ წლებში წინანდალის სახ. მამულში ამერიკიდან გამოწერილ ლერწებზე დამყნილი იქნა 8.000 ათასი ცალი ჩვენებური ჯიშის ვაზი. 500 ათასი ცალი დარგულ იქნა იმავე მამულში ადგილობრივ გლეხებში გასავრცელებლად.

მევენახეობა-მეღვინეობის სადგურის მოწყობა ურიათუბანში

რამოდენიმე ხნის წინად მიწათმოქმედ. სახ. კომისარიატმა სოფელ ურიათუბანში მოაწყო მევენახეობის სადგური, რომლის მთავარი დანიშნულება არის ვენახების აღდგენა კახეთში. დღემდე სადგურმა გამოიკვლია და ანალიზი გაუკეთა ნიადაგის 538 ნიმუშს, რომელთაც გლეხებს მოაქვთ თავისი სავენახე ადგილებიდან. მუშაობას გლეხების მამულებში სადგური უსასყიდლოთ აწარმოებს.

მუშათა კომისიის რწმუნებულთა თათბირი

უკანასკნელი სხდომა

კამათი მომავალი მუშაობის შესახებ

ამხ. ძამანაშვილის აზრს მომავალი მუშაობის გასაგრძელებლად ს. კ. პ. ცეკასთან ერთგვარი ქვეგანყოფილების დაარსების შესახებ,—ზოგი დელეგატი არ ეთანხმება, რადგან ეს მიაჩნიათ ჯერ-ჯერობით მიზანშეუწონლად.

წინადადებას იცავს მუშათა კომისიის მთელი შემადგენლობა და აგრეთვე კ. სულაქველიძეც, რომელსაც პრინციპიალურად მიუღებლად მიაჩნია მუშათა კომისიის ცალკე ორგანიზაციის სახით არსებობა. მუშათა კომისიის მიზანი არ არის ამბობს კ. სულაქველიძე — პოლიტიკური ბრძოლა არსებულ ხელისუფლებასთან, მას არ სწადია ძალაუფლების ხელში ჩაგდება ხოლო იმ ორგანიზაციის დამოუკიდებლად არსებობა, რომელიც მზგავს მიზეზებს არ ისახავს, პრინციპიალურ მოსაზრებით გაუმართლებელია და მიზანშეუწონელიათ.

მომავალი მუშაობის შესახებ თავისი აზრი გამოსთქვა აგრეთვე საქ. კომპარტიის ცეკას წარმომადგენელმა ამხ. ალ. გეგეჭკორმა, რომელმაც სცნო რა მუშათა კომისიის ერთი წლის ნაყოფიერი მუშაობა, მიზანშეწონილად ჩასთვალა შემდეგი მისი დამოუკიდებელ ორგანიზაციათ არსებობა.

ამჟამად მუშათა კომისიის მიერ შესრულებულია მისი მთავარი და უკანასკნელი დანიშნულება: მან თავის გარშემო შემოიკრიბა 11 ათასი მუშა. მუშათა კომისია ვერ შესძლებს ამ მასსის პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ მუშაობაში ჩაბმას, რადგან იგი არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია. არც პარტიას შეუძლია ყველა 11 ათასს კაცს ერთბაშად გაუღოს პარტიის კარები.

ეს მოხდება თანდათანობით მანამდე კი აუცილებლად საჭიროა ამ მასსაში მუშაობის წარმოება მისი კულტურული და საზოგადოებრივი შეგნების ასამაღლებლად. საამისოდ კი უნდა გამოინახოს ამ მასსის შეკავშირების ისეთი ორგანიზაციული ფორმა, რომელიც შეგვაძლებინებს ამ ამხანაგების მომზადებას და ჩაბმას კულტურულ, ეკონომიურ და პოლიტიკურ მუშაობაში.

დეკლარაციის და რეზოლიუციების მიღება

უკანასკნელად თათბირმა მიიღო მუშათა კომისიის რწმუნებულთა თათბირის დეკლარაცია, აგრეთვე მოწოდება—მიმართვა ქართველ ემიგრანტებისადმი.

მუშათა კომისიის შესახებ მიღებული იქნა რეზოლიუცია, სადაც თათბირი იწონებს კომისიის მუშაობას.

მომავალი მუშაობის შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში თათბირი მიზანშეწონილად აღიარებს ქვეგანყოფილების მოწყობას კომპარტიის ცეკასთან.

ასეთი ორგანიზაციის მოწყობის შესახებ პარტიასთან მოლაპარაკების გასამართავად თათბირი ირჩევს კომისიას, რომელშიაც შედიან ამხანაგები: ძამანაშვილი, გვიმრაძე, ხურცილავა, კუპრაშვილი, კ. სულაქველიძე და დულაძე.

მებამბეთა თათბირი

მეორე სხდომა

მეორე სხდომაზე თათბირის წევრთა უმრავლესობის სურვილით იწყება კამათი პირველ სხდომაზე მოსმენილ მოხსენებების გარშემო.

კამათში მონაწილეობა მიიღო, ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ამხ—ბების თითქმის ყველა წარმომადგენელმა, რომლებიც ერთხმად აღნიშნავდენ მცირე ფასებს ბამბაზე. კამათის მონაწილენი აგრეთვე მოითხოვდენ საორგანიზაციო ხარჯებისათვის არსებულ 5 პროცენტის გადიდებას 10 პროცენტამდე. საქ. ბამბის წარმომადგენელი კი იცავს 5 პროცენტით დაკმაყოფილებას, და მოითხოვს ძირითად სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების რიცხვის, შემცირებას, რადგან ისინი მეტისმეტად მრავალრიცხოვანი არიან, მათ რაიონში ნათესების სივრცესთან შეფარდებით, რაც იწვევს ზედმეტ ხარჯებს.

კამათი კვლავ გრძელდება. ამხ—ბების წარმომადგენელნი აღნიშნავენ, რომ წარსულ წელს თანხმად დადებულ ხელშეკრულებისა, საქარბამბის კომიტეტს, ბამბის მეურნე გლეხებისათვის უნდა მიეცა ფართლეულობა და ერთ ფუთ გაუწმენდელ ბამბაზე 3 ფუთი ხორბალის საფასური. აღნიშნული ვალდებულება კი დღესაც არ არის შესრულებული საქარბამბის მიერ.

წარმომადგენელნი აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ბამბის მეურნე გლეხი მიღებულ ავანსზე წლიურად იხდის 10 პროც. სარგებლის სახით, რაც ისედაც ხელმოკლე მეურნეებს მძიმე ტვირთად აწვება წლის ბოლოს; წარმომადგენელნი მოითხოვენ მეურნეების აღნიშნულ პროცენტისაგან სავსებით განთავისუფლებას.

დიდ კამათს იწვევს, საკითხი, თუ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები ვისთან უნდა იყვნენ დაკავშირებულნი ბამბის დამზადების საქმეში.

საქარბამბის წარმომადგენელი მოითხოვს, საქარბამბას საშუალება მიეცეს უშუალოთ დაუკავშირდეს ბამბის დამზადების საქმეში ძირითად სასოფლო-სამეურნეო ამხ—ბებს, უშუალოდ დასდოს მათთან ხელშეკრულებები ხოლო ავანსები მეურნეებისათვის დასარიგებლათ გასცეს ადგილობრივ არსებულ ბამბის საწმენდ ქარხნების საშუალებით.

ამხ—ბების წარმომადგენელნი კი სასტიკი წინააღმდეგი არიან წამოყენებული წინადადების და აღნიშნავენ, რომ ისინი თავის მუშაობაში დაექვემდებარებიან და გაატარებენ იმ ხაზს, რომელსაც მათ უჩვენებს ცენტრო—წარმოკავშირი, წარმომადგენელთა სურვილისამებრ.

ამ რიგათ უარყოფილი იქნა წინადადება ძირითად სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებთან საქარბამბის მიერ უშუალოდ კავშირის დაჭერის შესახებ.

შემდეგ კამათი იმართება, თუ სად უნდა ჩააბაროს მეურნემ ბამბა საქარბამბის წარმომადგენელს. თანახმად დღემდე არსებულ ხელშეკრულებისა, მეურნეს ბამბა უნდა ჩაებარებია ადგილობრივ. მაგრამ ეს ასე არ ხდებოდა და მეურნეთ უხდებოდათ ბამბის ჩაბარება, სადაც ამას უჩვენებდა საქარბამბის წარმომადგენელი.

თათბირმა შეთანხმებით გამოიმუშავა წესი ბამბის ჩაბარებისა (გადასაზიდ საფასურს იხდის საქარბამბა). ბამბას იბარებს კომისია საქარბამბის, წარმოკავშირის და ადგილობრივ ამხ—ბის წარმომადგენლების შემადგენლობით.

ამის შემდეგ თათბირმა აირჩია კომისია, რომელსაც დაევალა საერთო რეზოლიუციის გამომუშავება.

კომუნალური მეურნეობა

ტრამვაი

ახალი ხაზი

წინასწარი მუშაობა ტრამვაის ახალი ხაზის გასაყვანად თავისუფლების მოედნიდან სომხების ბაზრის ქუჩაზე ბანოების მიმართულებით უკვე მთავრდება. ყველა ის ვიწრო ქუჩები, რომელნიც დაბრკოლებას წარმოადგენდენ ტრამვაის ორი ხაზის გასაყვანად, გაფართოებულია. მცირე მოედნის გამოკლებით ქუჩები ძველი შენობებიდან გაწმენდილია; ნაცვლად აღებული შენობებისა, აშენებულია ახალი შენობები, რომელთა ქვედა სართულები უჭირავთ სახელმწიფო და კერძო სავაჭრო დაწესებულებებს. ამ ჟამად სწარმოებს სომხის ბაზრის დასაწყისში მარცხენა მხარეზე მდებარე სახლის ნანგრევებისგან ქუჩის გასუფთავება. ახალი ხაზის მთელი მიმართულების სიგრძეზე გაფართოებულია ქუჩები, მოგებულია ახალი ქვაფენილით. ქალაქის ამ აზიურმა ნაწილმა ქუჩების გაფართოების შემდეგ რამდენიმედ ევროპიული ქუჩის სახე მიიღო. ეტლების და ავტომობილების მოძრაობა ამ ქუჩებზე სწარმოებს სრულიად დაუბრკოლებლად. ქუჩების შენობათა ნანგრევებისაგან საბოლოოდ გაწმენდის შემდეგ, დაიწყება ტრამვაის ლიანდაგის დაგება. უახლოეს დღეებში თბილისის ცენტრალური ქუჩები ტრამვაის ხაზით შეუერთდებიან ავლაბარს, ხარფუხს და ქალაქის განაპირად მდებარე რაიონებს.

ლიანდაგის გამოცვლა

ერთი თვის წინად დაიწყო თბილისის მთავარ ქუჩებზე გამოცვლა ძველი ლიანდაგისა, რომელიც ხანგრძლივი ხმარებისა და დიდი ხნის გამოუცვლელობის გამო ძალიან გაცვდა და დაილია. ერთ-ერთი მიზეზი ამ ჟამად გახშირებულ ტრამვაის ვაგონების ლიანდაგიდან აცდენისა, არის ლიანდაგების გაცვეთა. საჰაერო ხაზისა და მატორიანი ვაგონების შინაგანი კონსტრუქციის მხრივ ტრამვაი მარცხისაგან დაცულია. ამიტომ ტრამვაის მეურნეობის სამმართველომ მთავარი ყურადღება მიაქცია ახალი ლიანდაგის დაგებას. თბილისის ტრამვაის გზის გაერთიანებული სიგრძე უდრის 43 ვერსს. აქედან დაახლოვებით 33 პროცენტი—ანუ 16 ვერსი საგრძნობლად დაზიანებულია და საჭიროებს გამოცვლას. ტრამვაის მეურნეობას მოეპოვება საჭირო მასალები ამ 16 ვერსის დასაგებად. ჯერ-ჯერობით უკვე დაგებულია ახალი ლიანდაგი 10 ვერსის მანძილზე.

პროფკავშირებში

შრომის ხელფასის საკითხი

(ახალ კოლხელშეკრულებათა დადების კამპანიის გამო)

ამჟამად პროფკავშირთა საბჭოს სატარიფო-საეკონომიო განყოფილება აწარმოებს ახალ კოლექტიური ხელშეკრულებათა დადების შესახებ კამპანიას. თუმცა დღემდე მოქმედ ხელშეკრულებებს ვადა უკვე გაუვიდათ ზაფხულში, მაგრამ მათი მოქმედება გაგრძელებულ იქნა ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იმ მოსაზრებით, რომ მანამდი შესწავლილი და გამორკვეული ყოფილიყო ყველა ის პირობები, რომლებზედაც უშუალოდ დამოკიდებულია შრომის ხელფასის გაუმჯობესება და მუშა-მოსამსახურეთათვის უფრო ხელსაყრელი ხელშეკრულებათა დადება. ასეთ პირობებად ითვლება შრომის ნაყოფიერების ზრდა და წამოწყება-დაწესებულებათა ფინანსიურ-ეკონომიური შესაძლებლობა.

ჩვენი სამეურნეო წარმოება-დაწესებულებათა 1924—1925 საბიუჯეტო წლის ინტენსიურმა მუშაობამ და ჩვენი უმაღლეს პროფორგანოთა ამ მუშაობაზე დაკვირვებამ ნათლად დაგვანახა, რომ აღნიშნულ წელში შრომის ინტენსივობასთან ერთად საგრძნობლად გაიზარდა შრომის ნაყოფიერებაც. ჩვენ სამეურნეო ორგანოებს აშკარად ეტყობათ მათი ეკონომიური და ფინანსიური ბაზების განმტკიცება-გაჯანსაღება. მათი ფინანსიური შესაძლებლობის პროგრესიული ზრდა უდავო ფაქტად იქცა ჩვენი შრომის დაცვის ორგანოებისათვის და სწორედ ამიტომ ჩვენმა უმაღლესმა პროფორგანოებმა მიზანშეწონილად და დროულად სცნეს შრომის ხელფასის გადასინჯვა მისი შესაძლებელ ფარგლებში გადიდების მიზნით.

ამ მიმართულებით საქ. პროფკავშირთა საბჭოს სატარიფო-საეკონომიო განყოფილებამ უკვე გადადგა კონკრეტიული ნაბიჯები. და უკვე ერთი კვირაა, რაც სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა წამოწყება-დაწესებულებებთან ახალი კოლექტიური ხელშეკრულებების დასადებად; ამოძრავებულია ადგილობრივი პროფუჯრედები, რომელნიც ვალდებულნი არიან ამ საქმეს მოუმზადონ ადგილებში მტკიცე ნიადაგი. მიღებულია ყოველგვარი ზომები ჩვენი მუშების შრომის ხელფასი შეუფარდონ ჩვენი სამეურნეო ორგანოთა ფინანსიურ შესაძლებლობას და შეძლებისდაგვარად გაადიდონ იგი. ძნელია ეხლავე იმის თქმა, თუ რომელი დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთ რამდენი პროცენტით გაუდიდდებათ ხელფასი, მაგრამ აქ ერთი რამ უდავოა — რომ ხელფასი შეძლებისდაგვარად აუცილებლად გადიდებული იქნება.

ტიპიური ნორმალური კოლექტიური ხელშეკრულებები გადაეგზავნებათ ადგილებში, რომელსაც ადგილობრივად განიხილავენ საერთო კრებებზე მუშა-მოსამსახურენი და თავიანთი დასკვნა-დამატებებით და შესწორებებით დაუბრუნებენ თავიანთ კავშირის გამგეობას, შემდეგში დაწესებულებებთან ხელშეკრულებათა დასადებად.

საჭიროა, ჩვენმა მუშა-მოსამსახურეებმა ამ საქმეში გამოიჩინონ მაქსიმალური მიუდგომლობა და სიფრთხილე, რომ ზომაზე მეტის მოთხოვნით არ მიაყენოთ ზიანი არც სახელმწიფოს და არც ჩვენი მეურნეობის წონსწორის საქმეს.

ლენინელი.

მელითონეთა საერთო საქალაქო კრება

10 ოქტომბერს „კინო პალას-“ის შენობაში გაიმართა მელითონეთა კავშირის საერთო საქალაქო კრება.

ამხ. მაჩაიძემ გააკეთა მოხსენება პროფმოძრაობის ახალ ამოცანების შესახებ.

მომხსენებელმა აღნუსხა ცენტრალურ გამგეობის მუშაობა, ილაპარაკა პროფკავშირებში მასიურ მუშაობის გაღრმავებაზე და მოუწოდა კავშირის ყველა წევრებს უფრო აქტიურ მუშაობისაკენ.

მომხსენებელი სთხოვს მუშებს, რაც შეიძლება კრიტიკულად მოეპყრან გამგეობას და აქტიური მონაწილეობა მიიღონ კრებაზე ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტის დროს.

„მე ხშირად შემიმჩნევია—ამბობს მომხსენებელი, — რომ მოხსენების დროს აუდიტორიას სძინავს; ეს ხდება იმიტომ, რომ მოხსენებები კეთდება მუშისათვის ძნელად გასაგებ ენაზე. ამიტომ მოხსენებები უნდა კეთდებოდეს მოკლედ, მარტივად და მუშისათვის გასაგებ ენაზე.

მოხსენების შემდეგ არჩეული იქნენ დელეგატებად სრულიად საკავშირო მელითონეთა ყრილობაზე დასასწრებლად:

ამხ. მაჩაიძე და ამხ. დევდარიანი. კანდიდატათ ამხ. პრეობრაჟენსკი.

კრების შემდეგ ნაჩვენები იქნა კინო-სურათი „გაფიცვა“.

ა. მგელაძე.

პროფმუშაობის ქრონიკა

განათლების მუშაკთა კავშირში

— **განათლების მუშაკთა სახლში.** დღეიდან განათლების მუშაკთა სახლში, საღამოს 5 საათიდან, დაიწყება ლექციები ქართულ ენაზე შემდეგ თემაზე—„კომპარტიის ისტორია“. ლექტორად მოწვეულია ამხ. პაპავა.

— **დასასვენებელი სახლის აგება.** სამხრეთ-ოსეთის პროფკავშირთა უკანასკნელმა პლენუმმა საჭიროდ სცნო აავოს მუშათა დასასვენებელი სახლი ჯავაში.

— **საალმშენებლო სკოლის შესახებ.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა კულტგანყოფილებას, რათა მან ყოველივე ღონე იხმაროს საალმშენებლო და სამეურნეო სკოლების გასახსნელად.

— **დამზღვევ სალაროებისადმი დავალიანების შესახებ.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა რესპ. სოც. დაზღვევის სამმ. უფროსის ამხ. გოგიბერიძის მოხსენება დამზღვევ სალაროებისადმი სამეურნეო ორგანოების დავალიანების შესახებ. დაევალა შრომის სახალხო კომისარიატსა და რესპ. სოცდაზღვევის სამმართველოს მიიღონ ყოველივე ზომები დავალიანების დასაფარავად. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო დამზღვევ სალაროთა ფინანსიური მდგომარეობის საკითხი დასვას სახ. კომისართა საბჭოში.

— **კომუნალურ მეურნეობის კავშირის ცენტრ. გამგეობის ფულის გაფლანგვა.** კომუნალურ მეურნეობის კავშირის ცენტრ. გამ. კულტგანყოფილების გამგემ, ჯაბიაშვილმა გაფლანგა კავშირის ფული 1.519 მ. 53 კ. კავშირის ცენტრ. გამგ. დადგენილებით ჯაბიაშვილი გამოირიცხა კავშირიდან, მოიხსნა თანამდებობიდან და საქმე გადაეცა სასამართლოს. ამჟამად იგი დაპატიმრებულია.

— **საიუბილეო კომისიის არჩევა.** ახლო ხანში განზრახულია კავშირის იუბილეს გადახდა. იუბილეს ჩასატარებლად არჩეული იქნა საორგანიზაციო კომისია.

— **ტყიბულის საავადმყოფოს შესახებ.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა სთხოვა სახ. კომისართა საბჭოს ტყიბულის საავადმყოფოსთვის საჭირო ხარჯები შეიტანოს ქუთაისის აღმასკომის ბიუჯეტში.

— **საბინაო ამხანაგობების შესახებ.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა აუკრძალა მუშათა საბინაო კოოპერატივსა და კავშირებს მუშათა სახლების საბინაო ამხანაგობათა საქმეებში ჩარევა.

— **ქალაქის ამბულატორიებისა და აფთიაქების გამოკვლევა.** პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად ამ მოკლე ხანში მოხდება ამბულატორიებისა და აფთიაქების გამოკვლევა. ამ საქმის ჩასატარებლად გამოიყო ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია. კომისიაში შედიან ამხ. ელბაქიანი, ფანცხავა და ნარიმანიშვილი ჯანსახკომისა და აღმასკომის წარმომადგენლები. პროფსაბჭომ საჭიროდ სცნო აგრეთვე მაზრებში ამბულატორიებისა და აფთიაქების გამოკვლევა. წინადადება მიეცა სამპროფბიუროებს გამოჰყონ შესაფერისი კომისიები ამ საქმის ჩასატარებლად.

რკინისგზის პროფკავშირებში

— **რადიო-მიმღების მოწყობა მუშათა კლუბებთან.** ა.-კ. რკინის გზელთა პროფკავშირმა ხელშეკრულება დასდო სააგენტო „სვიაზ“-თან რკ.-გზელთა კლუბებთან 2 ძლიერ და 3 ნაკლებ ძლიერ რადიო-მიმღების მოწყობის შესახებ.

— **დარბაზების მოწყობა.** ა.-კავკ. რკინისგზელთა პროფკავშირმა დაადგინა დაასრულოს ყველა კლუბებთან სასპორტო დარბაზების მოწყობა.

— **ადგილებზე.** ა.-კავკ. რკინისგზელთა პროფკავშირმა მიმართა საუბნო პროფკავშირებს დანიშნოს ადგილებზე სხვადასხვა კურსებზე მივლინებიდან დაბრუნებული მსმენელები.

— **მოხსენება.** ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა მიმართა ინჟინერ-ტეხნიკოსთა სექციას შეადგინოს საანგარიშო მოხსენება მუშა-გამომგონებელთა კომისიის მუშაობის შესახებ.

— **ლიტერატურა მოვარჯიშეებს.** ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა დაუგზავნა ყველა ფიზკულტურის საუბნო ბიუროებს ლიტერატურა ფიზკულტურაზე.

— **აღრიცხვა.** ა | კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა დაადგინა შემოიღოს ყველა ადგილკომებთან საწარმოო თათბირთა მიღწევების აღრიცხვა, რისთვისაც შეისყიდა განსაკუთრებული ფორმის წიგნები, რომლებიც ახლო ხანში დაეგზავნებათ ყველა ადგილკომებს.

— **ახალგაზრდათა შორის.** ა | კ. რკინის გზელთა პროფკავშირმა ახალგაზრდათა შორის სამუშაოდ გამოჰყო ამხ. სამონინი.

— **რწმუნებულის დანიშვნა.** ა | კ. რკ. გზ. სამმართველომ მე-24 უბნის რწმუნებულად დანიშნა ამხ. ბაბრამოვი.

სახ. კომისართა საბჭოში

სტატისტიკური ცნობების წარდგენის წესი.

სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო გამოსაქვეყნებლად სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის სახ. კომისარიატის მიერ დამუშავებული პროექტი დადგენილებისა სამრეწველო-საწარმოთა მიერ სტატისტიკური ცნობების წარდგენის წესის შესახებ.

სახალხო მსაჯულთა განსაკუთრებული სიის შედგენა რთულ სამეურნეო საქმეების განხილვის დროს.

სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილების პროექტი სახალხო მსაჯულთა განსაკუთრებული სიის შედგენის შესახებ რთულ სამეურნეო საქმეების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად. დადგენილება გადაეცა დასამტკიცებლად ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

სამკურნალო-სანიტარო საქმის გაუმჯობესება.

წინადადება მიეცა ა | კ. ფინსახკომის რწმუნებულს მიღებული ბიუჯეტის გადასინჯვის დროს ლაშქარ გარეშე მოსამზადებელ პუნქტებზე სამკურნალო-სანიტარო-საქმის გასაუმჯობესებლად საჭირო თანხა გაატაროს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ხარჯთაღრიცხვაში დამატებით.

სამაზრო აღმასკომების მიერ გაწეული ხარჯები წითელ-არმიელთა საქმიო დახმარებისათვის.

ა | კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ცნობების თანახმად, წითელ-არმიელთათვის საქმიო დახმარების გასაწევად სამაზრო აღმასკომების მიერ დახარჯული თანხა განსაზღვრული იქნა 19.436 მან. 10 კაპ. რაოდენობით.

ეთხოვა ა | კ. სახ. კომისართა საბჭოს აღნიშნული ხარჯის თავისი თანხებიდან დაფარვა და წითელარმიელთათვის მომავალში საქმიო დახმარების გასაწევად საჭირო თანხის [illegible].

ჩვენი გზატკეცილები

1925—26 წ. წ. გზების გაყვანის გეგმა

გზატკეცილების სამმართველოს განკარგულებაში 1924—25 სამეურნეო წელს იყო—1500 ვერსზე მეტი გზატკეცილი რომელთაგან რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების სიგრძე უდრიდა—310 ვერსს.

მიმდინარე 1925 | 26 წელს სამმართველოს განზრახული აქვს, რესპუბლიკანური გზების მშენებლობაზე დახარჯოს 400.000 მანეთი.

გარდა არსებულ რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზატკეცილებისა, რომლებზედაც უკვე მიმოსვლა სწარმოებს არის კიდევ ეხლად ასაშენებელი გზებიც. მიმდინარე სამეურნეო წელს განზრახულია ასეთი გზების ქსელის გაფართოება—210 ვერსის მანძილზე. ახალ გზატკეცილების ასაშენებლად საჭიროა 700.000 მანეთამდე.

წელს დაიწყება მუშაობა სურამ-ძირულის ჯავა-როკის გზატკეცილების და სვანეთის დიდი გზატკეცილის გასაყვანად.

1925 | 26 წელს განზრახულია მუშაობის დაწყება: ტოლოშის, გუბისწყლის, მდ. ყვირილის და ალაზნის ხიდების ასაგებად, რისთვისაც გამოთვლილია თანხა—200.000 მანეთის რაოდენობით.

ბრძოლა ხანძართან

თბილისის ცეცხლისმქრობელ რაზმის ცნობით, ქალაქში ცეცხლი ჩნდებოდა უმთავრესად გაუწმენდელ ღუმელების გამო. მაგალითად, გასულ წელს 9 თვის განმავლობაში აღრიცხული იყო 227 ცეცხლის გაჩენის შემთხვევა, რომელთაგან 147 შემთხვევა გამოწვეული იყო ღუმელების დაზიანებისა და გაუწმენდლობით.

აღსანიშნავია, რომ ქალაქში მდებარე სახლები, თითქმის ყველა, ისე არიან აგებულნი, რომ ღუმელებისაგან გაჩენილი ცეცხლი ჩქარა ედება მთელ სახლს.

ამიტომ თბილისში განსაკუთრებით საჭიროა ცეცხლისაგან დასაცავათ წინასწარი ზომების მიღება, ღუმელების თავის დროზე ჭვარტლისაგან გაწმენდა და სხ.

თანახმად არსებულ სავალდებულო დადგენილებისა, სამზარეულოს ღუმელები უნდა იწმინდებოდეს 3 თვეში ერთხელ, ხოლო საცხოვრებელ ბინების ღუმელები—2 თვეში ერთხელ, ხოლო იმ ბინებში, სადაც ცეცხლი ინთება ბინების გათბობის მიზნით ღუმელები უნდა გაიწმინდოს წელიწადში 2-ჯერ. კერძო ბინების თითო ღუმელის გასაწმენდათ დაწესებულია 30 კ.

რომ მცხოვრებლებს გაუადვილდეს ღუმელების გაწმენდა და აგრეთვე თავის დროზე იქნას წინასწარი ზომები მიღებული, ცეცხლის მქრობელ რაზმთან დაარსდა ღუმელების მწმენდელთა რაზმი, რომელიც მოახდენს ღუმელების გაწმენდას დაწესებულ ფასებში. აგრეთვე, ღუმელების დასათვალიერებლად და იმის გამოსარკვევათ, სახლის პატრონები დროზე ღებულობენ ზომებს თუ არა ღუმელების გასაწმენდათ, ქალაქში არის 4 კონტროლიორი. ღუმელების დათვალიერების უფლება აქვთ აგრეთვე ბრანდ-მაიორებს და მათ თანაშემწეებს. კონტროლიორებს აქვთ სპეციალური მანდატები.

— მართალია, ღუმელები მწმენდელთა რაზმი დიდი ხანი არ არის რაც მუშაობს, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში—განაცხადა ბრანდმაიორმა ამხ. ზერიძემ—საგრძნობლად შემცირდა ცეცხლის გაჩენის შემთხვევები. შემდეგში ღუმელების სისტემატიური გაწმენდა 80 პროცენტით შეამცირებს ცეცხლის გაჩენის შემთხვევებს.

მუშათა ცხოვრება

ნუ სჩაგრავთ ამ მუშებს!

რკინის გზაზე ცეცხლ-ფარეშთა რიცხვი დიდია. მათი მოვალეობა ორთქლმავლების და საორთქლო ქვაბების მოვლა-გახურება და ორთქლის დამზადება. მოვალეობა ძნელი და პასუხსაგებია. ჯამაგირი კი მათ მცირე ეძლევათ.

მათ თვეში ჯამაგირი მოსდით 30—40 მანეთამდე.

ვინაიდან ამ დარგის მუშებს საქმე აქვთ სათბობ მასალასთან (მაზუთი, ნახშირი, შეშა), ამიტომ მათ დამატებით ეძლევათ სათბობი მასალის „პრემია“.

მაგ. ვსთქვათ, რომ ერთი ორთქლმავალის გახურებას სჭირდება 10 ფუთი მაზუთი და თუ გამთბობი ამაზე ნაკლებს დახარჯავს,—მაშინ მას ეძლევა ამ ნორმიდან გადარჩენილ სათბობის ღირებულება საჩუქრად (პრემიად). ამ პრემიას ცეცხლფარეშები აკეთებდენ თვეში 15—20 მანეთამდე და ასე თავიანთ მცირე ჯამაგირს ცოტათი იუმჯობესებდენ..

სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს გარემოება შეიცვალა... სათბობის რაოდენობა „ნორმა“ ძალზე შეამცირეს და არაფერი აღარა რჩება და ამ დარგს გამოეცალა თვიური შემოსავლის ერთი მხარე. ამ ბოლო დროს ხელისუფლება სცდილობს ასწიოს შეძლებისდაგვარად დაბალი ჯამაგირები.

რამდენჯერმე მოხდა ჯამაგირების გადიდება, მაგრამ ხსენებულ ცეცხლფარეშებს მომატება არ ერგოთ, ვინაიდან ეს დარგი ითვლება „პრემიების“ მიმღებ დარგად...

ეს გარემოება დიდ უკმაყოფილებას ბადებს მუშებში. მაგრამ წევის დარგის უფროსი ლეონტიევი ამას ყურადღებას არ აქცევს. პირიქით, ის კიდევ იმასა ცდილობს, რომ დაბალ მოსამსახურეებს უფრო შეუმციროს ხელფასი. და ეს ხდება იმ დროს, როცა მაღალი ჯამაგირის მოხელენი და თვით ლეონტიევიც თავისთვის არაფერს იკლებენ.

ამ უსამართლობას ოდესმე უნდა მოეღოს ბოლო.

მემანქანე ს. დოლიძე.

რათ არ ტარდება გაეროვნება?

29 სექტემბერს კბილის ავადმყოფობის გამო, შევიარე რკინისგზის კბილის საექიმო ამბულატორიაში. მიუხედავათ იმისა, რომ ზემოხსენებულ ამბულატორიაში ექიმებიც ქართველებია, მორიგე ჩამწერიც ქართულად ლაპარაკობს, ანკეტა მაინც რუსულ ენაზე იწერება.

შევეკითხე თანამშრომელს: რატომ ხდება ისე რომ ანკეტები ქართულადაა დაბეჭდილი და მათ ავსებენ რუსულად. თქვენ არ გეხერხებათ ქართული, თუ სხვა რაიმე მიზეზი გიშლით ხელს? მან კი მიპასუხა: „არა გვაქვს წესად შემოღებულიო“.

ნუთუ აქაც შეუძლებელია ქართულ კითხვებს ქართულადვე უპასუხონ?

მუშა ხიდისთაველი.

მუშკოოპი უნდა დაგვეხმაროს

ყველამ იცის თუ რა გარყვნილების ბუდეს წარმოადგენდა ორთაჭალა თავის სარესკიპო-სამიკიტნოებით. საბჭოთა ხელისუფლებამ როგორც სხვაგან, ისე აქაც შეიტანა სინათლის შუქი. ერთის დაკვრით მიკეტა ეს გარყვნილებათა ბუდე და მათ ნაცვლად აღმოცენდა ტყავ-ტრესტის მუშათა კლუბი და წითელი სასადილო. მაგრამ დღეს რაღაც მოხერხებით ზოგიერთმა ვაჭატონებმა ისევ გააღეს ეს სამიკიტნოები. გარდა იმისა, რომ აქ ირყვნებიან ჩვენი მუშები, ეს სამიკიტნოები პირდაპირ ლამობენ ჩვენ წითელ სასადილოს დაკეტვას. წითელი სასადილო დღეს კოლექტივის ხელშია. ტყავ-ტრესტის ადგილკომი და კომუჯრედი დაჰპირდა საჭირო დახმარებას.

საჭიროა მუშკოოპმა თავის მხრივ მიაქციოს სათანადო ყურადღება ამ სასადილოს და შეუმსუბუქოს გადასახადი.

გადასახადი კი შედარებით დღევანდელ შემოსავალთან ძალიან დიდია. თვით კოლექტივმაც უსათუოდ საქმეები უნდა გააუმჯობესოს. ყველაფერს დროზე უნდა მიექცეს ყურადღება, თორემ მიკიტნები უკვე შეკავშირებული გვებრძვიან.

მუშკორი რისხვა.

დავანგრიოთ ინტრიგანთა ბუდე

თბილისის შინამრეწველ-ხელოსანთა კავშირს თანდაყოლილი აქვს ერთი ხელისშემშლელი თვისება. მმართველ ორგანოს, ძველია ის, თუ ახალი, უწყობენ სხვადასხვა ინტრიგებს, მაგალითად, სხვადასხვა უმაღლეს ორგანოებში საჩივრების შეტანით, შესახებ იმისა, რომ ვითომდა რომელიმე ეროვნების წევრი იდევნებოდეს იქიდან და სხვა. ასეთი ჯგუფი შემდგარია ძველი უკმაყოფილო გაძევებული გამგეობის ზოგიერთ „დიდი მოღვაწეებისაგან“. უკანასკნელებმა, ვინაიდან მეტი არაფერი დარჩენიათ, აიყოლიეს კავშირის ზოგიერთი წევრები და ამათი საშუალებით შხამს ანთხევენ კავშირის მუშაობას, ნაციონალურ ნიადაგზე. ასეთი მოქმედებით ყოველივე ზომებს ხმარობენ გარიყული „მოღვაწეები“, რათა ხელი შეუშალონ კავშირის აღორძინებას.

ამხ. გოგიშიძე, რომელიც თავმჯდომარეობს ხსენებულ კავშირს, ვერ მოუნელებიათ ამ გაუსწორებელ ინტრიგანებს, ეწევიან მუშაობას იმ მიმართულებით, რომ მას ხელი შეუშალონ და მუშაობაზე უარი ათქმევინონ.

იმედია გახურებული რკინით აღმოიფხვრება უკმაყოფილო ჯგუფის ბოროტი ზრახვები და მოქმედება კავშირის მიმართ.

მუშკორი გუნა.

გამოუქვეყნილი წერილებიდან

[illegible] ჩვენ მათთან ვერ ვიმუშავებთ. 11—12 აგვისტოს განხილულ იქნა საქმე ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტის დარაჯი ალექსანდრე გეგეჭკორისა. სჩანს რაღაც გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, რომ ეს პირი გამართლებულ იქნა. გეგეჭკორი გამართლების შემდეგ აღდგენილ იქნა თავის ყოფილ თანამდებობაზე და წინანდებურად განაგრძობს თავის ჯიბის გასქელებას. ჩვენ მოვითხოვთ მის ადგილიდან მოხსნას, რადგანაც დარწმუნებულები ვართ მის ბოროტმოქმედებაში (სახელმწიფო ფულის გაფლანგვა და მუშების ექსპლოატაცია), სირცხვილად მიგვაჩნია მასთან ერთად მუშაობა.

ხელს აწერს 6 მუშა.

— **მიაქციეთ ყურადღება.** უნივერსიტეტის შესახვევში მუდამ საშინელი სიბინძურე და ნაგავია, რაც საშინლად აწუხებს იქ მცხოვრებლებს და გამვლელ-გამომვლელთ. მეეზოვე ედიგაროვი ამ მოვლენას ყურადღებას არ აქცევს. დაგვიხსენით სიბინძურისაგან.

თ. ჩ—ა.

— **ღარიბია, უშველეთ.** მე-3 უბანში (ინტერნაციონალის ქუჩა) ქ. ქუთაისში, სცხოვრობს ღარიბი ინვალიდი—კონსტანტინე ვასილის ძე იამანიძე. მას ჰყავს მოსწავლე შვილები და ცოლი. აქვს პენსია—თვეში ხუთი მანეთი. მიაქციეთ ყურადღება და გამოიყვანეთ უკიდურეს მდგომარეობიდან ეს საბრალო ინვალიდი. ადგილობრივ ფოსტაში არის მოთხოვნილება ოთხი ფოსტალიონისა და სასურველი იქნებოდა, რომ ამ გაჭირვებულ ადამიანს ფოსტის გამგემ გაუწოდოს ამხანაგურად ხელი.

მუშკორი უხილავი.

— **მოგვიწყვეთ ერთი მოედანი.** ლენინის უბანი მოედნის უქონლობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდის. გლეხებს ამ უბანში სანოვაგე ურმით თავისუფლად ვერ შემოუტანიათ, რაც არც გლეხებისათვის და არც იქაურ მცხოვრებლებისათვის სახეირო არ არის.

საჭიროა ამ საკითხის მოწესრიგება.

ლ—ლოსი.

— **საჭიროა ბაღის განათება.** ვერაზე (ყოფ. ზემმელის აფთიაქის პირდაპირ) გაშენებულ მშვენიერ ბაღს ერთი დიდი ნაკლი აქვს. არ აქვს სინათლე. გაანათეთ ეს ბაღი.

მუშკორი ა. ბობოთური.

— **ხილის ასეთი ვაჭრობა უნდა აეკრძალოთ.** თუმცა აკრძალულია გადაუფარებლად ხილეულობის გაყიდვა, მაგრამ ზოგიერთი ვაჭრები ამას ყურადღებას არ აქცევენ, მეტადრე „მეტაჩკეები“.

საჭიროა მილიციამ ამას ყურადღება მიაქციოს.

მუშკორი თური—ლო.

ქრონიკა

საქართველოს ცაკში

— **საქ. ცაკმა** დაამტკიცა სოფლად მომუშავე მასწავლებელთა და განათლების მუშაკთა პენსიონერების სია.

— **სახელწოდების შეცვლა.** საქ. ცაკმა დაადგინა სოფ. საათაქიოეწერს (ზუგდ. მაზრა) ამიერიდან ეწოდოს ახალი ეწერი.

— ა | კ. ცაკის საბჭოთა აღმშენებლობის კომისიაში საქარ. ცაკის წარმომადგენლებათ დაინიშნენ ამხ. ამხ. ს. თოდრია და შ. მათიკაშვილი.

თბილისის აღმასკომში

— **საექიმო ქვეგანყოფილებას** წამლეულობის შესაძენად გადაეცა 68.325 მან.

— **სახლების შესაკეთებლად.** აღმასკომის საგეგმო კომისიამ აუცილებელ საჭიროებად სცნო, მიღებული იქნას სასტიკი ზომები სახლის იმ მეპატრონეთა წინააღმდეგ, რომლებსაც დღემდე საფუძვლიანად არ შეუკეთებიათ სახლები.

— **საბინაო გადასახადი.** აღმასკომის საგადასახადო განყოფილების ცნობით, სალაროში შემოტანილია მიზნობრივი საბინაო გადასახადის 80 პროც.

— **ამ დღეებში** დაიწყება გზის გამოკვლევა თბილისი-ტაბახმელა-კოჯორის მიმართულებით.

— **ზაჰესის** კომიტეტმა ახალციხის სატყეო კომბინატს დაუკვეთა 100 ათასი ფუტი ხე-ტყის მასალის, დამზადება.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში

— **მანქანების შეძენა.** სახალხო მეურნეობის უმაღ. საბჭოს გრეხილ ავეჯეულობის ქარხნისათვის მანქანების საზღვარგარეთ შესაძენად სამრეწველო ბანკმა მისცა სესხის სახით 150.000 მან.

— **ცემენტის ქარხანა.** საბჭო ამჟამად იმუშავებს გეგმას კავთისხევში (გორის მაზრა) ცემენტის ქარხნის ასაგებათ. ქარხანა წლიურად დაამზადებს 70.000 ფ. ცემენტს.

— **აბრეშუმის სახვევ-სართავ ქარხნის** მოწყობას ოზურგეთში ახლო ხანში შეუდგება სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭო. ქარხანა წლიურად გადაამუშავებს 2.200 ფ. პარკს.

— **მუშა-ხელი.** უმაღ. სამ. საბჭოს წარმოება-დაწესებულებებში ამ ჟამად მუშაობს 6,200 მუშა-მოსამსახურე.

სხვადასხვა

— **სოციალურ უზრუნველყოფის** სახალხო კომისარიატმა მიწერილობები დაუგზავნა ყველა სამაზრო გლეხკომებს და მოსთხოვა საჩქაროდ წარმოედგინოს მას დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ, თუ სასოფლო და სათემო გლეხკომებმა რა წესით, რა რაოდენობით და ვის გაუწია დახმარება.

— **კოოპერატიულ კურსებზე.** (მადათოვის კუნძული № 5) მეცადინეობა დაიწყება 20—25 ოქტომბრიდან.

— **მუშათა საბინაო კოოპერაციას.** დარბაზების ქირიდან 5 პროცენტიანი ანარიცხი მთელ საქართველოში შეკრებილი, დღემდე გადაეცა 144 ათასი მანეთი.

— **ახალი ქარხანა.** საქ. მებამბეობის კომიტეტმა ყარაიაზში მოაწყო ბამბის საწმენდი ქარხანა, რომელიც მუშაობას დაიწყებს 1-ლ ნოემბრიდან.

— **მთელ რესპუბლიკაში** ამჟამად ითვლება 60 ათასამდე სული ცხენი.

— **თვალსაჩინო ხელსაწყოთა ინსტიტუტი** შეუდგა ამიერ-კავკასიაში არსებულ მინერალების შეგროვებას.

— **საქ. ავიაქიმის ყრილობა** მოწვეულია ნოემბერში. ყრილობაზე მოეწყობა ავიაქიმის გამოფენა.

— **ღვინოების შესყიდვა.** სახ. ვაჭრობის საპაიო ამხ-ბა შეუდგა კახეთში 100.000 ვედრო ღვინის შესყიდვას გლეხებისაგან.

— **სამხედრო კუთხეები.** ეწყობა მბეჭდავთა კლუბთან, ლენინის სახელობის თამბაქოს ქარხანაში და ქართულ და რუსულ მუშფაკებთან.

— **მოზარდ მუშათა გამოკვლევა.** დედათა და ბავშთა დაცვის განყოფილებამ მოახდინა ახალგაზრდა მუშათა გამოკვლევა. ამჟამად სხვადასხვა წარმოებებში მუშაობს 1997 მოზარდი მუშა, მათ შორის 1732 ვაჟია, დანარჩენი—ქალი.

— **საფარმაცევტო სკოლა** გაიხსნება ამ დღეებში.

— **წარმოკავშირის ინსტრუქტორთა** თათბირი გაიხსნება დღეს წარმოკავშირის ბინაზე.

— **ქართველ ექიმთა საზოგადოების საგანგებო კრება.** ხუთშაბათს, 15 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, შესდგება საზოგადოების საგანგებო კრება საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში. განსახილველია საზოგადოების რეორგანიზაციის საკითხი. წევრების დასწრება სავალდებულოა.

რადიო

სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტთან არსებული რადიო სადგური ამჟამად ფართოვდება. სწარმოებს ჯგუფური მეცადინეობა, როგორც სტუდენტებთან, ისე მოსწავლეებთან.

აპარატებზე მუშაობა სწარმოებს ამერიკული სისტემით.

ამ დღეებში განზრახულია ექვსლამპიანი მიმღების დადგმა დასავლეთ-ევროპის რადიო-მოამბე სადგურების მოსასმენათ.

მიმდინარე წლის ოქტომბერში რადიო-სადგურმა საშუალება მისცა გარეშე პირებს მოესმინათ რადიო კონცერტები.

ცდები სწარმოებდა ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატებით ნავთლუღის, მოსკოვის, ლონდონის რადიო-სადგურების მოსასმენათ.

შემთხვევები

ქუჩაში წესრიგის დარღვევის შემთხვევა უკანასკნელ თვეში შემცირდა 50 პროცენტით.

— **გაფლანგვა.** ლიბკნეხტსდორფის გერმანელთა ახალშენის კოოპერატივის გამგეს ბაუერს გაუფლანგავს 1936 მან., ნოქრებს ვერნსტელ-დაუერს და ბოროდაჩენკოს 685 მან.

— **დაჭრა.** 12 ოქტ. დილას, თათრის მოედნის ახლოს მწყემსმა მამედ-ალი რუსტამ-ოღლიმ ხანჯლით დასჭრა ყასბები ალი გული კასუმოვი და ალი აბასოვი, რომლებმაც აღნიშნულ მწყემსისგან იყიდეს საქონელი, მაგრამ ფული არ მისცეს.

— **სახაზინო ფულის მოპარვა.** 10 ოქტ. ღამით შტაბის ქ. № 4, ტყიბულის მუშკოოპის რწმუნებულს ამბაკო ბოჭორიშვილს მოპარეს 650 მან. სახაზინო ფული.

— **შეპყრობა.** 12 ოქტ., დილის 9 საათზე შეიპყრეს 12 წლ. ბავშვი გიორგი სარქისოვი, რომელმაც არამ ტერ-სტეპანოვს ხითაროვის ქარვასლაში მოპარა ნავაჭრი ნივთები.

— **ქურდობა.** 12 ოქტ. ღამით პლეხანოვის პრ. № 171, გაქურდეს ალექსანდრე გორგაშვილის ბინა. წაღებულია 100 მან. ნივთები.

— **ჯიბგირობა.** 12 ოქტომ. ბაყალის ქუჩაზე, ალა აზარიანცის სასადილოში ღვინის დასალევათ ჩასულ სარქის გრიგოროვს ჯიბიდან ამოაცალეს 5 თუმანი.

— **ყალბი ჩერვონეციანის გამსაღებელი.** 11 ოქტ. დღის 2 საათზე შეიპყრეს აზიკა ვართანოვი, რომელმაც ყარაიაზელ გლეხს უსუფ ოღლის შეატყუა ყალბი ჩერვონეციანი.

— **ავტომობილის ქვეშ.** 12 ოქტ. რუსთაველის პროსპექტზე, საღამოს 7 საათზე ავტომობილმა გაიტანა 12 წლის ბავშვი წიწვლიშვილი, რომელიც გადაგზავნილი იქნა საავადმყოფოში.

სოფლად

ლაგოდეხ..ს მეთამბაქოეთა საერთო კრება

ა | წ. 25 სექტემბერს დ. ლაგოდეხში შესდგა ლაგოდეხის თემის მეთამბაქოეთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 465 მეთამბაქოე. კრების მიზანი იყო გამოერკვია წლევანდელ მოსავლის მდგომარეობა, და აგრეთვე განეხილა, თუ როგორ უნდა გაესაღებიათ წლევანდელი მოსავალი. მოხსენებებმა ადგილებიდან გამოარკვია, რომ წლეულს ლაგოდეხის მეთამბაქოეებს განსაკუთრებით მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა. ხანგრძლივი გვალვების გამო მიწის დამუშავებას დიდი ხარჯი მოუნდა, მოსავალიც მცირე მოვიდა. მაგრამ ღირსებით თამბაქო წელს განსაკუთრებით კარგია. ასეთი კარგი ღირსების თამბაქო ათ წელიწადში ერთხელ თუ იქნება. მეთამბაქოები აღნიშნავდენ, რომ საჭიროა თამბაქო თავის დროზე გასაღდეს და ფასებიც თამბაქოს ღირსებასთან შეფარდებით დაწესდეს. გასულ წლებში ლაგოდეხის თამბაქო დაკლებულ ფასებში იყიდებოდა; ამან გამოიწვია ის, რომ ლაგოდეხში მეთამბაქოობა თანდათან ეცემა. რომ ეს თავიდან ავიცილოთ, აღნიშნავდენ მომხსენებლები, საჭიროა ლაგოდეხის თამბაქოზე მაგარი ფასები დაწესდეს. ადგილებიდან მოხსენებების მოსმენის შემდეგ კრებამ დაადგინა: ამორჩეულ იქნას კომისია, რომელსაც დაევალოს გამოარკვიოს თამბაქოს თვითღირებულება და მასალები გადაეგზავნოს თამბაქოს ფასის შემმუშავებელ კომისიას. კრებამ აგრეთვე დაადგინა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ ლაგოდეხის მეთამბაქოეთა წარმომადგენელი დამატებულ იქნეს თამბაქოს ფასების შემმუშავებელ კომისიაში გადამწყვეტი ხმით.

კინჩხის თემი

(ქუთაისის მაზრა)

კინჩხის თემი, ქუთაისის მაზრის სხვა თემებთან შედარებით, პატარაა. აქ ცხოვრობს სულ 470-მდე მცხოვრები, თავის მდებარეობით, ჰაერითა და წყალით მდიდარი თემია, მაგრამ ნივთიერად ძლიერ ღარიბი. მიუხედავათ სიღარიბისა, ეს თემი კულტურული და პოლიტ-განმანათლებელი მუშაობით არც ერთ თემს არ ჩამოუვარდება მაზრაში.

წინად, ეს თემი ერთერთ მივარდნილ თემად ითვლებოდა. აქ არც სკოლა იყო, არც სამკითხველო, არც კოოპერატივი და სხვა რაიმე დაწესებულება. ჩვენმა გლეხობამ არც კი იცოდა რა იყო გაზეთი, წიგნი და სხვა. მთელ სოფელში, ორი-სამი პირის მეტი არ იყო წერა-კითხვის მცოდნე. გასაბჭოების შემდეგ გლეხობა იღვიძებს და ხელისუფლების დახმარებით თემის ცენტრში სკოლისთვის აგებს ორსართულიან ქვის შენობას. დღეს ეს სკოლა არ იტევს მსურველებს და ბევრი სკოლის გარედ რჩება.

საქართველოს გასაბჭოებამდი ჩვენმა გლეხობამ არ იცოდა რა იყო სამკითხველო. ეხლა კი კვირა არ გაივლის ისე, რომ სამჯერ მაინც არ შევიდეს სამკითხველოში, გაზეთი არ წაიკითხოს და წიგნი არ წაიღოს, ჩვენს თემში მარტო „ახალი სოფელი" ვრცელდება 130 ცალი. ასე რომ ჩვენს თემში მალე განხორციელდება ლოზუნგი „თითო გლეხს—თითო გაზეთი". ქ. სამკითხველოსთან არის ახლად დაარსებული აგრო-წრე და ანტი-რელიგიური წრე; გლეხები ამ წრეებში აქტიურ მონაწილეობას იღებენ, დაიარებიან წრეების კრებებზე და ისმენენ სათანადო მოხსენებებს და სჯა-ბაასის შემდეგ ერკვევიან საკითხში. აქვე გამოდის ორ-კვირეული კედლის გაზეთი „ჩვენი მომავალი", რომელიც აწვდის გლეხებს ქვეყნის ამბებს და აძლევს სხვადასხვა დარიგებებს. აქვეა საცნობარო მაგიდა, სადაც გლეხობას უწერენ უფასოდ განცხადებებს და შეძლებისდაგვარად აწვდიან საჭირო ცნობებს.

ახლო მომავალში ჩვენს თემში გაიხსნება პირველ საფეხურის 5 ლიკ.-სკოლა. მაგრამ ეს არ კმარა. აქ მცხოვრებლების მეტი რაოდენობა წერა-კითხვის მცოდნეა. ამიტომ ამასთან ერთად საჭიროა ორი მაინც მე-2 საფეხურის სკოლა.

ჩვენს თემში აგრეთვე არის კოოპერატივი, რომელსაც საკუთარი შენობა აქვს. ის თავის დანიშნულების სიმაღლეზე სდგას და აწოდებს გლეხობას პირველ მოთხოვნილების საგნებს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძლიერ ღარიბი ვართ ახალი ლიტერატურით, რაშიც დიდი მოთხოვნილებაა დღეს სოფლად.

ქ. კინჩხელი.

ასეთ პირობებში სწავლა შეუძლებელია

(სენაკის გან. ინსპექტორის საყურადღებოთ)

ახალ-აბაშის ცხრა-წლიანი შრომის სკოლის მეცხრე სალიკვიდაციო ჯგუფის მოწაფეები ბინის უქონლობის გამო გადაიყვანეს აბაშის ოთხწლედის შენობაში. მაგრამ იქ სწავლა შეუძლებელია. ისეთ ხმაურობას ასტეხენ ბავშვები, რომ მოწაფეებს მასწავლებლის ნალაპარაკევი არ ესმით. გარდა ამისა შარშან მეცხრე ჯგუფები ორათ იყვენ გაყოფილი, წელს კი შეაერთეს და ერთ ოთახში არის მოთავსებული თითქმის 63 მოწაფე. შესაძლებელია თუ არა ერთ ოთახში 63 მოწაფემ ისწავლოს?

კალმის წვერი.

წერილებიდან

ს. საგარეჯო. (გარე-კახეთი)

დავეხმაროთ საგარეჯოს თეატრს. რამდენიმე ათეული წელია, რაც საგარეჯოში თეატრი არსებობს. რომელი სოფელია, რომ ამდენი ხნის კულტურული დაწესებულება ჰქონდეს. ჩვენდა საუბედუროთ ეს თეატრი ძლიერ მოუწყობელია. არა აქვს არც დეკორაცია, არც სკამები; სცენაზე სამარ სკამებსა და მაგიდებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. თვით თეატრს არა აქვს იმდენი შემოსავალი, რომ ყველაფერი ზევით ჩამოთვლილი შეიძინოს. საჭიროა თბილისში მცხოვრებ საგარეჯოელებმა გამართონ საღამო საგარეჯოს თეატრის დასახმარებლათ. ჩვენ გვგონია, რომ ყველა, ვინც კი იცნობს ამ თეატრს, დაგვეხმარება. ეს საშუალებას მოგვცემს გამოვაკეთოთ თეატრის საქმე.

ივ. დარეიძე.

სოფ. მარტყოფში (თბილისის მაზ.)

გამომძიებელი ნოზაძე. 2 ოქტომბერს სოფ. მარტყოფს ეწვია გამომძიებელი ნოზაძე, რომელმაც ღამის 1 საათზე გამოიწვია დასაკითხავათ სკოლის დარაჯი ქალი, ნახევრად უსინათლო და მხოლოდ დილის 6 საათზე დაკითხა. ასევე მოექცა მარტყოფის სკოლის მასწავლებელ ქალს. გარდა ამისა, მოქ. ნოზაძე ძლიერ უხეშათ ეპყრობა გლეხებს. იუსტიციის კომისარიატმა უნდა მოგვაშოროს ასეთი გამომძიებელი.

გ. ჩინჩალაძე და ა. ბერიშვილი.

სოფ. გომი (ქუთაისის მაზრა)

მოსპეთ ნარდის თამაში დუქნებში. სოფ. გომში ჯერ-ჯერობით კიდევ ბევრი დუქანია. ამ დუქნებში კარტის თამაშის მაგიერ განუწყვეტლივ სწარმოებს ნარდის თამაში, თითქოს ნარდში ფული არ წაიგებოდეს. არ გაარჩიათ არც დილა, არც საღამო, არც კვირა, არც უქმე. მთელი ახალგაზრდობა ირყვნება ამის შემხედვარე. ალმასკომის თავმჯდომარემ უნდა აკრძალოს ნარდის თამაში დუქნებში.

ხათაბალა.

სოფლის ქრონიკა

— **გორის მაზრის** აღმასკომმა ტყის დაცვის მიზნით დანიშნა ერთი ამხანაგი, რომელიც სოფლიდან სოფელში გადადის და აცნობს გლეხებს ტყის მნიშვნელობას.

— **სახალხო სახლი.** ქობულეთის საჟამასკომმა 2500 მან. გადასდო სახალხო სახლის შესაკეთებლათ.

— **აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა.** ოზურგეთში შეუდგენ აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკის აგებას. ფაბრიკაში იმუშავებს 500 მუშა.

— **ისტორიულ მნიშვნელობის** ნივთების დაცვის მიზნით ახალციხის მაზრის აღმასკომმა გადასწყვიტა აღრიცხოს მაზრაში არსებული ისტორიული მნიშვნელობის ნივთები.

— **საბავშვო მოედანი.** რაჭის მაზრის აღმასკომმა სოფ. ნიკორწმინდაში მოაწყო საბავშვო მოედანი ფიზკულტურისთვის.

— **რაჭის მაზრის** პოლიტგანის წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები წელს დაამთავრა 585 კაცმა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 33

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

იმ პირთა შესახებ, რომელთაც დაჰკარგეს უფლება დაწესებულებასთან საბინაო კმაყოფის მიღებისა და ამის გამო მოვალენი არიან დასცალონ მათ მიერ დაჭერილი საცხოვრებელი სადგომი.

რათა სათანადოთ გამოყენებულ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ქვემდებარე დაწესებულებებთან არსებული საცხოვრებელი სადგომები, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ის პირი, რომელმაც სამსახურიდან დათხოვნისა, გადაყვანისა და სხვა ამგვარი მიზეზის გამო დაჰკარგა უფლება ისარგებლოს საცხოვრებელი სადგომით სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ქვემდებარე დაწესებულებასთან, აგრეთვე ასეთი პირის ოჯახი და ოჯახი გარდაცვალებული მოსამსახურისა,—მოვალეა ერთი თვის განმავლობაში დღიდან დაწესებულების უფროსის მიერ სათანადო მოთხოვნის წარდგენისა დასცალოს მის მიერ დაჭერილი საცხოვრებელი სადგომი.

შენიშვნა: გამოსახლებულ უნდა იქნეს ისეთი პირიც, რომელიც დაწესებულებისათვის გარეშეა და 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირებთან სცხოვრობს.

2. დაწესებულების უფროსის მოთხოვნა ბინის დაცლის შესახებ სრულდება ადმინისტრატიული წესისამებრ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე ა. გეგეჭკორი.
საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ალ. სალარიძე.
1925 წ. ოქტომბრის 10
თბილისი-სასახლე

ტირაჟი—20.000

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ხუთშაბათს, 15 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, ცენტრალურ პარტ-კლუბის შენობაში

მოწვეულია საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმი.

თბილისის კომიტეტის ყველა წევრთა და კანდიდატთა და საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის რაიკომების ბიუროების წევრთა დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი

— წ. | კ. უცოდინარობასთან მებრძოლი საზ-ის (წ ე რ კ უ მ ს ი) ცენტრ. გამგეობა სთხოვს ამავე საზ-ის ცენტ. სარევიზიო კომისიის წევრებს: ამხ. ამხ. მუშიშვილს, ნერსესოვს, შ. გეგენავას შეიკრიბონ ხუთშაბათს, 15 ოქტომბერს, საღ. 6 საათზე, წერკუმს-ის ბინაზე—რუსთაველის 11, აღნიშნულ საზ-ის ბალანსის განსახილველად.

მდივანი პ. სვანიძე

— ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას საალ. განყ. გიწვევთ ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდეთ აღნიშნულ განყოფილებაში ამა წლის 14 ოქტომბრამდე: 1) ქვემოკლიძე ნიკო, 2) მამულაშვილი იორამ და 3) ზაუტაშვილი ზაქარო.

ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას საალ. განყ. გამგე: ხალუქვაძე

— საქართველოს კომპარტიის ცეკას საალ. გან. განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოჩამოთვლილ ამხ. ამხ. 2 დღის განმავლობაში გამოცხადდნენ ცეკას საალ. გან. განყოფილებაში.

1) მელიქიანი არშავირ, 2) ფოფხაძე, 3) თედორე პარასტაევი და 3) ტაბილოვი ანტონ.

საალ. განმანაწ. განყ. გამგის მაგიერ: ლომიძე

— ქალაქის რაიონის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 14 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, 72 შრომის სკოლის შენობაში (ლერმონტოვის და ველიამინოვის ქუჩ. კუთხე) გაიმართება სადელეგატო კრება.

დღის წესრიგი: მოხსენება საოჯახო უფლების შესახებ.

ყველა ქალთა ორგანიზატორის და დელეგატ-ქალების დასწრება სავალდებულოა.

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი იუწყება, რომ დღეს, საღამოს 6 საათზე, მე-3 რაიონის პარტკლუბის შენობაში გაიმართება მე-3 რაიონის სადელეგატო კრება.

დღის წესრიგი: 1) ანკეტების გარჩევა კანდიდატების პარტიის წევრებათ გადარიცხვის შესახებ.

ყველა დელეგატების გამოცხადება სავალდებულოა.

წინადადება ეძლევათ ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ სადელეგატო კრებაზე მათი ანკეტების გასარჩევათ.

ალექსანიან ხალატ, არუშანოვ არტაშეს, ხაჩიკიან კარაპეტ (ტყავეულობის ტრესტის უჯრედი), ადამოვი კაზარ, მნაცაკანოვა შუშანიკ, მარკაროვი მიკიტ, მურადოვი სისაკ, იბატ კასუმ-ოღლი, აპინიან (ზეთის და საპნის ტრესტი), მელიქოვი გრიგოლ, ხაჩატუროვი სტეფანე, გოპოიან კარაპეტ, ოვანესიან რაპსიმე (აღმშენებელთა უჯრედი), ახმედ-დუნიამალ-ოღლი, მამედ-ალი-დუნიამალ-ოღლი, რიზაევ აბბას, რიზაევი იუსუფ, ალიზადე აბბას, ტურეგულოვ ისმაილ, ალიევ ალი, ლეკიშვილი დავით, გუსეინ ზადე რიზა კული (სახალხო კვების უჯრედი), ნიკოლაშვილი არქიპ (ქალაქის სასაკლაოების უჯრედი), ვართანოვი მიხეილ, (სამხედრო წისქვილი), არუტიუნოვი ტიგრან (ტყავ. ქარხ. № 3 უჯრ.), კუპრენკო პავლე (მაკარ. ფაბრიკის უჯრ.), კაკიაშვილი გარეგინ, ბედიაშვილი ანტონ, ხოროშიენოვ ვასილი, კარაპეტიან კარაპეტ, მოლოდცოვ ივანე, კაზანჯიან მკრტიჩ, გარსევანოვა ბარბალე, კრჟისტოფიკ სტანისლავ, ადამია რაჟდენ, ტოხმახიან ლევან (ქალაქის სავადმყ. უჯრედი), ბაგიროვი მამედ, ალა-ზადე დადაშ, (ქალ. სასაკლ. უჯრ.), მამედოვი იარადანკული, რაგიმოვი ირზა, ასკეროვ იზიად (სოფ. ნარიმანოვის უჯრ.) აბუაშვილი დარიო (ქალაქის აბან. უჯრ.), გოგიაშვილი ისაკ (იზოლიატორი), იუსოვა პრასკოვია (ამიერ-კავკასიის საგარ. ვაჭრ. სახ. კომისარიატი), პეტროსიან არტავაზდ (მტვირთავების უჯრ. № 27).

მდივანი—გართაპეტიანი.

განცხადებები

მწუხარებაში მყოფნი ჭირისუფალნი: მეუღლე—სოფიო მაკარის ასული, შვილები—შალვა და არჩილი, ძმა—ილია, რძლები—ალექსანდრა და მარია, შვილიშვილები—თინა და ქეთო, ძმის წულები—ნინო და ლადო ხუციშვილები და ახლო მეგობარი—ოლია დავლიანიძისა აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

გიორგი აბრამის ძე ხუციშვილის

გარდაცვალებას 12 ოქტომბერს, დილის 10 საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი, № 19, გამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული

15[illegible]—1—1

[illegible] თემის მასწავლებლობა, მოწაფეები და [illegible] მის მწუხარებას გამოსთქვამს ძვირფასი ამხანაგის, სამხედრო ინსტრუქტორის

ანდრო დოგორჯგინიძის

მოულოდნელად გარდაცვალების გამო და თანუგრძნობს დარჩენილ ქვრივ-ობლებს.

ნ. 164—1—1

[illegible]ულნი: მამა გიორგი, დედა ლუბიდა, ძმა სიკო, ბებია ებე, ბი[illegible]—იოსები, კლიმე და დიმიტრი, მამიდები—მატრონე და ბარბალე შარაშანიძენი, ბიძა ვანო [illegible], დედა[illegible] ინაშვილისა აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ მათი უძვირფასესი, ოზურგეთის მეხუთე კლასის მოწაფის

ალექსანდრე (შურა) შარაშანიძის

უკანასკნელი გამოთხოვების დღე (ორმოცი) დანიშნულია კვირას, 18 ოქტომბერს, სოფ. დვაბზუში. 154 1—1

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ილია, შვილები გიგო, მული ქეთო, დედამთილი ვარვარა, მამამთილი ივანე შოშიაშვილები, დედა მარიამი, დები: სონა, ნინო, ტასიკო და ძმა გიორგი ჭიორილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ევა სვიმონის ასული შოშიაშვილისა.

ხიდრის გამოსვენება ქალაქის მე-2-რე სავადმყოფოდან (ყოფილი ალექსანდრის) 14 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე. დაკრძალვა ს. წინანდალში 15 ოქტომბერს. 157 1—1

სახელმწიფო ოპერა

ხუთშაბათს, 15 ოქტომბერს 1925 წ.

სეზონის გახსნა

ფ. ვ. გოკოშას პირველი გამოსვლა

აბესალომ და ეთერი

პარასკევს, 16 ოქტომბერს 1925 წ.

ბაქრატოვას, გორონკინას და კიპარენკო-დამანსკის პირველი გამოსვლებით

აიდა

ნ. 63—1—1 ბილეთები იყიდება.

თბილისის აღმასკომის კომუნალური განყოფილება

აცხადებს, რომ ზეჟის ელექტრო-დენზე გადასვლასთან დაკავშირებით ყველა ძველი დადგმულობები გადაკეთებულ უნდა იქნენ ელექტრო-ტექნიკურ ყრილობების ნორმების თანახმად. ძლიერი დენის ელექტრონის გაყვანილობებისა და დადგმულობების ნორმები და წესები იბეჭდება ქართულს და რუსულ ენებზე და გამოვა გასასყიდათ ამ თვის ბოლოს, რის შესახებ განცხადებული იქნება ცალკე.

ამის შემდეგ ყველა ახალი ელექტრონის დადგმულობები მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შესრულებულნი იქნებიან ნორმების თანახმად.

კომუნალური განყ. გამგე ახრიევი.
[illegible] გამგე [illegible]. 3-1 ნ. 60

განათლების სახ. კომისარიატის

სახელმწიფო საბუხჰალტრო კურსები № 2

იოსებ გიორგის ძე ავალიშვილის

ხელმძღვანელობით აცხადებს,

რომ **განახლდა** თხოვნების მიღება ჯგუფებში ჩასაწერად

გამგის ბინა: დუშეთის ქ. № 19, საღამ. 5 საათ.
კურსებისა: დავიდოვის ქ. № 25.

ცეკავშირის გამგეობა

ამით აცხადებს

ცეკავშირის ყოფილ თანამშრომელთა და აგრეთვე სხვა დაწესებულებათა თანამშრომლების და პირთა საყურადღებოთ, რომელთაც ისარგებლეს ცეკავშირში კრედიტით—უკეთუ მათ ერთი კვირის განმავლობაში ამა რიცხვიდან არ დაუფარავთ თავიანთი დავალიანება ცეკავშირის სასარგებლოდ—მათ წინააღმდეგ სასამართლოებში აღიძრება ძიებანი და ამავე დროს რესპუბლიკის პრესაში გამოქვეყნდება მათი სახელი და გვარი. 2-1 ნ. 62

აპოლო [illegible]

პირველად თბილისში

„ОСОБНЯК ГОЛУБИНЫХ"

ის პირნი, რომლებიც იყიდიან ბილეთებს 1 ხეანსის დაწყებამდე, იხდიან: პარტერი—35 კაპ., ამფითეატრი—25 კ., მე-IV-ე ადგილები—20 კაპ.

„კოლეჟსკი რეგისტრატორ"

მთავარ როლში—მოსკვინი. [illegible] ხოლოს შეასრულებს იაშა ბროდსკი.

სეზონის საუკეთესო სურათი

„საროსკიპოში აღზრდილი"

გაძლიერებული სიმფონიური ორკესტრი რეიზნერის ხელმძღვანელობით.

ეცნობება სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კოოპერატიულ დაწესებულებების

და კერძო პირების საყურადღებოთ, რომ,

„ე.ტ.ც.რ."-ის „ელმაშტრესტ"-თან

გაერთიანების გამო (საბუთი: საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ბრძანების ა. წ. 24 სექტემბრის თარიღით № 1261, გამოქვეყნებული „სავაჭრო სამრეწველო გაზეთ"-ში № 220 (1037) ა. წ. 26 სექტ.), აღნიშნულ ტრესტების ყველა საქმეებისათვის უნდა მიმართონ

სახელმწიფო ელექტრო-ტექნიკური ტრესტის

„გ.ე.ტ."-ის (ყოფ. „ე.ტ.ც.რ." და „ელმაშტრესტ")

თბილისის განყოფილებას

შემდეგი მისამართით: თბილისი, რუსთაველის პრ. № 19, ტელეფონები: 1—55 და 6—94.

მაღაზიები: რუსთაველის პრ. № 19 და სოლოლაკის ქ. № 2.

ყველა წინანდელი გაცემული მინდობილებანი და მოწმობები „ე.ტ.ც.რ."-ის და „ელმაშტრესტ"-ის სახელით, ჩაითვალოს გაუქმებულად.

სახელმწიფო ელექტრო-ტექნიკური ტრესტის თბილისის განყოფილების უფროსი: ინჟინერი ვ. კობერი. ნ. 46 1—1

შერეული საჯარო ვაჭრობა

ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველო

აცხადებს, რომ სამეურნეო-მატერიალურ განყოფილებაში (თბილისი, სადგურის ქუჩა, № 1)

1925 წ. 12 ნოემბერს, დღის 12 საათზე დანიშნულია

შერეული საჯარო ვაჭრობა

რკინეულობის (Скобяной товар) მისაწოდებლად რკინის გზების ნახაზების მიხედვით. ყველა მასალების თანასწორ პარტიებათ მიწოდების ვადა—არა უგვიანეს მარტის თვისა. მისაწოდებელი მასალების ღირებულება უნდა უდრიდეს დაახლოვებით 336.500 მანეთს., ამასთანავე სამმართველო იტოვებს უფლებას შეამციროს ან გაადიდოს დასამზადებელ მასალების რაოდენობა, და აგრეთვე მიანდოს დამზადება ერთ პირს მთლიანად ან ნაწილობრივ.

იმ პირებმა, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში, არა უგვიანეს 1925 წ. 12 ნოემბრის 12 საათისა უნდა გამოგზავნონ [illegible] გადასახადით. გადახდილი წერილობითი განცხადება დახურულ კონვერტებში. განცხადებასთან უნდა იყოს დართული ქვითარი რკინის გზების ერთ-ერთ კასაში მთელი მისაწოდებელი მასალის საფასურის 10 პროც.-ის შეტანის შესახებ. განცხადება უნდა გამოიგზავნოს სამეურნეო-მატერიალურ სამსახურის უფროსის სახელზე ზემოაღნიშნულ მისამართით და წარწერით: „1925 წ. 12 ნოემბრის შეჯიბრებისათვის რკინეულობის (Скобяной товар) მისაწოდებლად", ან ჩაუშვან განცხადება აღნიშნულ განყოფილების შესავალთან გამოკიდებულ სპეციალურ ყუთში.

მისაწოდებელ მასალების ხარისხის შესამოწმებლად საჭიროა წარმოდგენილი იქნას ნიმუშები.

მიწოდების შესახებ დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე, გარდა უქმე დღეებისა, დილის 10—12 საათამდე თბილისში, სამეურნეო-მატერიალურ განყოფილებაში (ოთახი № 318 და 316) და მოსკოვში—კარუნინის მოედანი № 6, ა | კ. რკინის გზათა სამმართველოს დასამზადებელ განყოფილებაში.

ნ. № 61—1—1

თბილისის საბირჟო კომიტეტი

ამით აცხადებს ბირჟის კლიენტების საყურადღებოთ, რომ თბილისის საქონლის—საფონდო ბირჟის საფონდო განყოფილების მაკლერი

ა. ვ. არდიშვილი

განთავისუფლებულია მაკლერის მოვალეობისაგან.

ყველა იმ დაწესებულებებს და პირებს, რომელთაც აქვთ რაიმე პრეტენზიები მაკლერ არდიშვილისადმი, ვთხოვთ განუცხადონ ამის შესახებ ბირჟის კომიტეტს ერთი კვირის განმავლობაში

—1 ნ. 64

დაიბეჭდა **ნ. ნიკოლაძის** ბროშურა:

К истории грузинской Марганцепромышленности

(Как построилась чиатурская ветвь?)

ფასი 50 კაპ. იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში; მთავარი საწყობი: ამხ. „ქართული წიგნის" მაღაზია, გ[illegible] ქ. № 1., ქაშვეთის პირდაპირ, 3—3 134

საჩხერის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ივ. აბაშიძე

ამით აცხადებს, რომ დ. საჩხერეში 26 ამა ოქტომბერს, დღითი ორშაბათს, შუადღის 12 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ერთთვალიანი ხის სახლისა, დახურულის კრამიტით თავის სამოსახლო ადგილით, მდებარეობს დ. საჩხერეში, მესამე ინტერნაციონალის ქუჩაზე (№ არა აქვს); ზომა ადგილისა ქუჩის პირზე სიგანე რვა არშინნახევარი, სიგრძით ოცდარვა არშინი, ბოლოზე სიგანე რვა არშინნახევარი საღვრებ: აღმოს. მაჭავარიანების ქვითკირის კედელი, დასავ. და ჩრდილ. სიმონ მაჭავარიანის ადგილი და სამხ. ქუჩა, შეფასებულია ოთხასი მანეთად, კუთვნილი მცხ. ს. ჩიხაში დავით იოსების ძის მაჭავარიანის, დასაკმაყოფილებლად ივანე პაპიჯანოვის ვალისა 526 მან. ძალისა გამო აღმასრულებელი ფურცლისა საჩხერის უბნის სახალხო სასამართლოსი 23 ივლისის 1925 წ. თარიღით № 1001. მსურველთ ყოველგვარი ცნობების მიღებისა ამ საქმეზე, შეუძლიათ მიიღონ ჩემთან საჩხერის სახალხო სასამართლოში. 1-1 50

კბილის ექიმი

ც. შალავა

ძნელაძის ქ. (საპიორნაია) № 29. (ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის პირდაპირ)

ჰკურნავს კბილებსა და ღრძილებს, და აკეთებს პლომბებსა და ხელოვნურ კბილებს.

მიღება) დილით 9—12-ს.
) საღ. 4—7-ს.

25—1

ექიმი **ი. დ. თოფურიძე**

[illegible] ქუჩა (ყოფილი ნიკოლ.) № 33,

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისის და ვენერიული (შარდის და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—8 საათ. ბარათაშვილის ქუჩა № 18 (ალექსანდრის ბაღის პირდაპირ).

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი.

მიღება ავადმყოფ. დილით 8 ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

ექიმი **ა. ს. შუშ-ირველი**

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. მო-მონტი). შარდ. საქმიანი, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—8 საათამდე.

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისის და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ

აფთიაქის „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

25—23

ექიმი **ზ. მ. ფხალაძე**

კანისა და ვენერიულ სნეულებანი (სიფილისი „606"—„914")

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—8 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეხო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ)

ექიმმა შუხმანმა

განაახლა მიღება ვენერიულ სნეულებაში

საღამოს 6—8 საათამდე; ქალები დღის 2—3 საათამდე. ელისაბედის ქ. № 89 (ქსენიევის ქუჩის პირდაპირ)

1—12

ექიმი **ე. ი. კალანდაძე**

ღებულობს ავადმყოფებს: შინაგან ავადმყოფობით შეპყრობილთ, ვენერიულით, საშარდე და სასქესო ორგან. და სიფილისით. საღამოობით—5-დან 7 საათ. დილით—7-დან 8 საათამდე.

მისამართი: ბარნოვის (ყოფ. გუნიბის) ქუჩა № 6, მოსკოვის ქუჩიდან მარჯვენივ (1 უბანი). 25—1

დოქტორი ნევროპათოლოგიისა

სვიმონ ყიფშიძე

დაბრუნდა უცხოეთიდან და იწყებს ავადმყოფების მიღებას 14 სექტემბრიდან.

2423 25—1

კბილის ექიმმა

ი. ბ. ბაქრაძისამ

განაახლა ავადმყოფთა მიღება დ. 10—2
ს. 4—6-მდე.
ელისაბედის ქუჩა № 117.
№ 107 13—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა და წლიური სამგზავრო ბილეთი შალვა ფოცხვერიას სახელზე. ჩ. გ. 156 1—1

დაიკარგა სატრანსპორტო კავშირის საწევრო წიგნაკი № 2844 ნესტორ ლებანიძის სახელზე. ჩ. გ. 155 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა სა[illegible]ლო ექიმის მამულაშვილის სახელზე. ჩ. გ. 158 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა გიორგი იოსების ძე ბუთხუზის სახელზე. ჩ. გ. 159 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, სააღრიცხვო ფურცელი ფ. № 4 ნიკოლოზ ილარიონის ძე [illegible] სახელზე. ჩ. გ. 160 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 8414 და სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა მიხეილ ივანიძის სახელზე. ჩ. გ. 161 1—1

დაიკარგა პროფკავშირის წიგნაკი და სხვა დასხვა მოწმობები სერგო თარხნიშვილის სახელზე. ჩ. გ. 162 1—1

დაიკარგა სალექციო წიგნაკი ვასილ [illegible]ძის სახელზე. ჩ. გ. 163 1—1

სტამბა „ზარია ვოსტოკა"-ს ხიმ. წულუკიძის ქუჩა № 6